ოთხშაბათი, 17 ოქტომბ. 1907 წ.

# ისარი

წელიწადი პირველი — № 2[illegible]


გაზეთი «ისარი» ერთის წლით ღირს ტფილისში 7 მან., ნახევარი წლით—4 მან., ერთის თვით ტფილისში—75 კაპ. ტფილისს გარედ—80 კაპ. გაზეთის გამოწერა შეიძლება ყოველ თვის პირველ რიცხვებში.

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კაპ.; უკანასკნელზე—10 კაპ., სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითოჯერ ღირს 3 მან.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებები მიიღება «ისრის» რედაქციაში და კანტორაში ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან ნაშუადღევის 4 საათამდე.

რედაქციისა და კანტორის ადრესი: ტფილისი, ელისაბედის ქუჩა, № 1.

ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება, დაუბეჭდავ მცირე წერილებს და კორესპონდენციებს რედაქცია დიდხანს არ ინახავს [illegible] მხოლოდ დიდი წერილები და [illegible]. წერილობით პასუხისათვის საჭირო [illegible] პირადად მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეებს გარდა, დილის 11 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე.

ადრესის გამოცვლა ტფილისიდან ტფილისს გარედ ღირს 1 მან., ხოლო სხვაგან—40 კაპ.

**ცალკე ნომერი ყველგან 5 კაპ.**

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, редакція «ИСАРИ»



მწუხარებით აღსავსე **მარიამ გიორგის ასული, მარიამ ალექსანდრეს ასული, ივანე, მიხეილ და ბენიამინ, ანნა, ბარბარე, მელანია და ნატალია იოსების ძენი და ასულნი** აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ უდროვოდ გარდაცვალებას პირველი საყვარელ შვილისას, მეორე ქმრისას დანარჩენნი საყვარელ ძმისა და უკანასკნელი მაზლისის

**ევგენი იოსების ძის ინდუაშვილისას**

პანაშვიდი ყოველ დღე ნაშუადღევის 12 საათზე. და საღამოს 6 საათზე. ელისაბედის ქ. 17. ცხედარს გამოასვენებენ 18 ოქტომბერს დილის 10 საათზედ წმ. ნიკოლოოზის ეკლესიაში. დაასაფლავებენ პეტრე-პავლეს სასაფლაოზედ. (3—363—2)

---

მწუხარებით აღსავსე **ნატალია ვასილის ასული ზასლავსკისა, ანასტასია წულუკიძისა და ანნა გულისოვისა** აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ გარდაცვალებას ძვირფას დედისას.

დასაფლავება ჩვიდმეტ ღვინობისთვეს ქ. თელავში.

(1—365—1)

---

**პლატონ და დავით ბესარიონის ძენი ხელთუფლიშვილები** დებით დიდის მწუხარებით აუწყებენ ნათესავებსა და ნაცნობებს ძვირფას დედის

**ფეოდოსია ფირანის ასულის ხელთუფლიშვილის**

გარდაცვალებას. პანაშვიდი ყოველ დღე 12 და 5 ½ საათზედ. გამოსვენება პარასკევს, 19 ოქტომბერს, დილის 9 საათზედ. (3—6—1)

---

**სახაზინო თეატრში. ქართული წარმოდგენა**

ოთხშაბათს, 17 ოქტომბერს, 1907 წ. ქართულ დრამატიულ საზოგადოების დასის მიერ წარმოდგენილი იქნება

**ელენე ანდრონიკაშვილის სადებიუტოდ**

I **დაუპატიჟებელი** დრამა 1 მოქმედ. მეტერლინკისა, თარგ. მ. ადამაშვილისა.

II **ახალი ქალა** პიესა 4 მოქმ. ლანგმანისა თარგ. ევდოშვილისა.

**წარმოდგენის დაწყებამდე ექიმ ივ. გომართელი წაიკითხავს რეფერატს მორის მეტერლინკზე.**

მონაწილეობას მიიღებენ: ქ-ნნი ტასო აბაშიძე, ნ. გაბუნია-ცაგარლისა, ა. კარგარეთელი, ო. ლეჟავა, მ. მდივანი, ბ. ნებიერიძისი, ვ. ჩერქეზიშვილისა; ბ-ნნი ვ. აბაშიძე, ზ. ბერიშვილი, ვ. გამყრელიძე, მ. გედევანოვი, ვ. გუნია, ა. იმედაშვილი, ი. ივანიშვილი, ი. ქივიძე, ს. სვიმონიძე, კ. ყიფიანი, დ. ჩარკვიანი.

**ადგილების ფასი**: ლოჟები 2 მ. 50 კ.-დან 10 მ.-მდე, პარტერი—1 მ. 25 კ.-დან 3 მ.-მდე. ბალკონი 75 კაპ.-დან 1 მან.-მდე, გალერეა 30 კაპ.-დან 40 კაპ.-მდე.

**დასაწყისი სწორედ საღამოს 8 საათზე.**

მზადდება წარმოსადგენად „ქალაქში", „ოჯახის ბურჯი", „მზის ამოსვლამდე".

მორიგი წევრი გამგეობისა **პარ. გოთუა.**

---

**სახელმწიფო ბანკის**

**ტფილისის განყოფილება**

იწვევს იმ პირთ, ვისაც სურს წარუდგინოს ბანკს 1,800,000 ცალი აგური, 30,000 ფუთი კირი და 300 კუბიკურ საჟენამდე ქვიშა ახალ შენობის ასაგებად განყოფილებისათვის.

დაწვრილებით პირობების გაგება შეიძლება შენობის ამგებელ კანტორაში. მსურველმა თავისი პირობები ბანკის განყოფილებაში უნდა წარადგინოს დაბეჭდილ კონვერტით. ცალ-ცალკე განცხადებანი უნდა იყოს აგურზე, კირზე და ქვიშაზე. განცხადების შეტანის ვადად დანიშნულია ამა წლის 30 ოქტომბერი, დღის 12 საათი. (3—6—3)

---

**კახური ღვინით ვაჭრობა**

**„ხირსა"**

ახლად მივიღეთ დიდ ძალი საუკეთესო

ფასები ზომიერია **კახური ღვინოები** ფასები ზომიერია

ნიკოლოზის და გეიდენოვის კუთხე, № 17.

**ტფილისში.** (50—262—14)

---

ექიმი

**ა. ნ. დიასამიძე**

**კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს**

იღებს ყოველდღე შუადღის 12—1 საათამდე. საღამოთი 6—8 საათმდე. ხუთშაბათობით მხოლოთ დილით 8—9-დე. კვირაობით ავადმყოფებს არ მიიღებს. ყორღანოვის ქუჩა № 14.

---

ქ. ქუთაისში

**ექიმი ი. ი. ჩარექოვი**

იღებს **განსაკუთრებით ვენერიულ, სიფილისიან და კანით ავადმყოფებს.** სწამლობს მუწუკებს, ძირმაგრებს, ბუბონეს და სხ. უაპერაციოდ **პროფ. ზიერის** მეტოდი. 12—2 საათამდის. გეგუთის ქუჩა, აბულაძის შესახვევი, იოსელიანის სახლში. (27—ფ.—12)

---

**ელექტრონის და რენტგენის**

**სამკურნალო კაბინეთი**

**მიხეილ გედევანიშვილისა**

იღებს ავადმყოფებს დილის 12—1, საღამოს 6—7 საათ. ყორღანოვის ქ., ვერაზე; საკ. სახლი № 20 ტელ. 791. (26—ნ.—25)

---

ქუთაისში

კბილის ექიმი ქალი

**ე. დ. ნასარიძე**

იღებს ავათმყოფებს ექიმ ნასარიძის ბინაზე. (346)

---

კბილის ექიმი

**ალ. სოლოლაშვილი**

იღებს ავადმყოფებს ყოველ დღე 9—2 საათამდე და 5—7-მდე. გოლოვინის პროსპ. № 12. სახლი მდივნისა. (64)

---

ექიმი ქალი

**ს. ზ. მირზოევისა**

მიიღებს თვალებით ავათმყოფებს ყოველ-დღე გარდა შაბათობით 1½—2½ სოლოლაკის ქუჩა № 6. (25—364—2)

---

**დოქტორი მედიცინისა**

**გ. გ. გურგენოვი**

ყოფილი საშტატო ორდინატორი ხარკოვის უნივერსიტეტის საქალო ავადმყოფობისა და ბებიაობის კლინიკისა **გადმოვიდა** გოლოვინის პროსპ., № 12 საარტისტო სახ. თეატრის პირდაპირ. ავად მყოფების მიღება 12—2 ს. და საღამოს 5—7 საათამდე. (25—355—5)

---

ექიმი

**შ. ს. მუსხელიშვილი**

მიიღებს თვალებით ავად-მყოფებს ყოველ დღე დილის 9—11½. კიროჩნი ქუჩა № 9. (თვ.)

---

**კბილის ექიმი**

**ს. გ. რომანიშვილი**

მიიღებს კბილებით ავადმყოფებს დილის 9—2 საათამდის და საღამ. 4—6 საათამდის.

მუხრანის ქუჩა № 11. ქალაქის სამკურნალოს გვერდით. (25—ბ.—24)

---

ექიმი

**მ. მაჩაბელი**

იღებს შინაგან სნეულებით ავადმყოფებს დილის 1—2 ს., საღამოობით 5—6 საათ., გარდა კვირა დღეებისა, კიროჩნის და ელისაბედის ქუჩების კუთხეზე, ბარამოვის სახლი, № 92. (წ.უ—00)

---

კბილის ექიმი

**ნინო რცხილაძე**

იღებს ავადმყოფებს დილით 9—2 ს. საღამოთი, —7 საათზე. ვერა ოლგას ქუჩა, № 25- (0—201)

---

**ქუთაისში**

ვთხოვ პატივცემულ საზოგადოებას, მოითხოვოს ფირალოვის პაპიროსი

**„სიმპატია" და „ინტელიგენტი",**

რომელიც წმინდა „გრაინცის" საუკეთესო პლანტაციების სუნელოვან თუთუნით არის შეზავებული და პროგრესიულად გაუმჯობესებული.

(10—კვ—7) პატივისცემით **მმ. ფირალოვები.**

---

**ვკისრულობ**

ხელნაწერების შესწორებასა და თარგმნას: რუსულიდან ქართულად და ქართულიდან რუსულად. იკითხეთ „ისრის" რედაქციაში.


## ტფილისი, 17 ოქტომბერი.

დღეს ორი წელიწადი სრულდება მას შემდეგ, რაც ცნობილი 17 ოქტომბრის მანიფესტი იქმნა გამოცხადებული. „მიენიჭოს ხალხს შეურყეველი საფუძველნი სამოქალაქო თავისუფლებისაო"—ამბობდა მანიფესტი და სიხარულით ავსებდა გულს. თითქოს ასრულდა, თითქოს განხორციელდა ის, რისთვისაც რუსეთის საუკეთესო შვილნი მთელ საუკუნის განმავლობაში მხნედ და შეუპოვრად იბრძოდნენ უმაგალითო თავ-განწირულებით. განახლების და აღორძინების დასაწყისი ოფიციალურად იქნა გამოცხადებული. მთელს რუსეთში სახალხო დღესასწაული გაიმართა. ძველი რეჟიმი შეირყა. მან ვეღარ გაუძლო მოზღვავებულ ისტორიულ საჭიროებას და საქვეყნოდ აღიარა თავისი ისტორიული სიკვდილი. ზნეობრივად დაფუკული და გახრწნილი, იგი თითქოს წრფელის გულით მიჰმართავდა ხალხს: მოდი, ჩემს ნანგრევებზე ახალი საზოგადოებრივობა დაამყარეთ, ახალი ცხოვრება დაიწყეთ, ხოლო თქვენი ახალის მოღვაწეობის ნაყოფიერებისათვის კი წინდად მიიღეთ ხელ-შეუხლებლობა პიროვნებისა, თავისუფლება სიტყვისა, თავისუფლება კრებისა და სახალხო წარმომადგენლობაო.

სიხარული ღრმად ჩასწვდა გულში რუსეთის მოქალაქეს. იგი უჩვეულო იყო სამოქალაქო სიხარულს და ის ნაღვლიანი აჩრდილი, რომელიც თავიდანვე თან დაჰყვა „თავისუფლებას", ექვიანობას უღვიებდა, უნდობლობას უკარნახებდა. პირველ ხანებში ეს აჩრდილი თითქოს შიშისა და გაუტანლობის ატმოსფერაში აღზრდილი ფანტაზიის ფუჭს ნაყოფს ჰგავანდა. იგი თითქოს უხორცო ჩვენება იყო, ამაოდ სულის აღმაშფოთველი და სიხარულის დამთრგუნველი. მაგრამ... გავიდა რამდენიმე დღე და შავი აჩრდილი ისე გაიზარდა, ისე გაიბადრა, რომ „თავისუფლების" სხივებს ელვარება წაერთვათ, სითბო წარეკვეთათ. რუსეთის მოქალაქე ისევ ბნელეთში ჩავარდა.

„თავისუფლების" გვერდზე რეაქციამ მოიკალათა და განახლდა წინანდელი ბრძოლა. მხოლოდ ეს ბრძოლა ეხლა უფრო სასტიკი შეიქნა, ეხლა უფრო დაუნდობელი გახდა. „ძველი რეჟიმი" სასიკვდილოდ დაჭრილი ლომივით გააფთრებული იბრძვის დაკარგულ პოზიციების დასაბრუნებლად და 1905 წლის 17 ოქტომბრიდან დღევანდლამდე, მთელი ორი წელიწადი ამ გააფთრებულ ომიანობის სურათს წარმოადგენს. რეაქციამ უკვე თვალსაჩინოდ დასძალა „თავისუფლება". პიროვნების ხელშეუხებლობა მხოლოდ ქაღალდზედ-ღა სწერია, კრების თავისუფლება მხოლოდ რეაქციონერებისთვის არსებობს, სიტყვის თავისუფლება მარტოოდენ მმართველობის დამქაშებს შერჩათ, სახალხო წარმომადგენლობა სახელით-ღა არსებობს...

გადაავლეთ თვალი რეაქციის დავლას და დაინახავთ, რომ „ძველი რეჟიმი" ფაქტიურად უკვე აღდგენილია, ხოლო „თავისუფლების" ნატამალიც კი აღარსად სჩანს. ამისდა მიუხედავად რეაქციონერებს მაინც გული ვერ დაუჯერებიათ. რატომ? რის დაპყრობა სწადიანთ კიდევ? რა დარჩათ ასაღები? განა „თავისუფლების" ყველა სიმაგრე უკვე მათს ხელში არ არის?

იქნება იფიქროთ, რეაქცია უძლებია და მიტომ ვერ დაუჯერებია გულიო. შემცდარი აზრია. აქ გაუმაძღრობა არაფერ შუაშია. რეაქციას საკმაო საბუთი აქვს უკმაყოფილო იყოს თავის დავლით. საბუთი აქვს, რადგან ამ დავლაში ის ზნეობრივი შინაგანი ძალა არ მოიპოვება, რომელიც 17 ოქტომბრის წინად დაეკარგა „ძველს რეჟიმს" და ურომლისოდაც მისი რეალური აღდგენა არავითარ გამარჯვებას არ ძალუძს. რეაქცია ჰგრძნობს, რომ მას ეს ცხოველმყოფელი შინაგანი ძალა აკლია, მაგრამ იმას კი ვერა ჰხედავს, რომ ფიზიკურად ამ ძალის დაპყრობა არ იქნება. რეაქცია ჰგრძნობს თავის გამარჯვებას, მაგრამ უფრო მხურვალედ კი იმას ჰგრძნობს, რომ მისი გამარჯვება უნიადაგოა და უმტკიცო.

---

### დასასახლებელი ადგილები

**(ს. მაჭარაშვილის შეკითხვის გამო *)**

საქართველოს მჭიდროდ დასახლებულ კუთხეებიდან ამ დროს ბლომად მოაწყდა ხალხი სიღნაღის მაზრის ალაზნის გაღმა მხარეს, ეგრედ წოდებულ „ჭიაურის არეს". რამდენისამე საუკუნის წინად, საქართველოს პოლიტიკურ უძლურების დროს, ეს მხარე აიკლეს სპარსელებმა ლეკების დახმარებით, სოფლები დასწვეს და მიანგრ-მოანგრიეს, ხალხი ტყვედ წაასხეს და ეს უმდიდრესი კუთხე კახეთისა ნაოხრად და ტრამალად აქციეს. დღესაც მოსჩანს აქ ნასოფლარები, ნასაყდრალები, შემოვლებული ყორეები. ყველა ეს უდაბურ ტყეებით არის დაფარული. დამფრთხალმა კახელებმა ძლივს გაჰბედეს ალაზანს გაღმა გასვლა, ისიც ჭარ-ბელაქნის დამორჩილების შემდეგ. პირველად ქართველი მოსახლეობა გაჩნდა ლაგოდახში (უწინ ლაგოეთი), რომელთა რიცხვი დღეს 200 კომლამდეა. ხოლო ამ მოძრაობის დროს ხალხი ბლომად მოაწყდა ამ მხარეს. დიდი ხნის დასვენებული ადგილი, ბუნების სიმდიდრე, უჩეხი და თვალ-უწვდენელი ტყე, ფრინველებით (ხოხბები) და ნადირით (გარეული ღორი) სავსე, მშვენიერი ცივი მთის ნაკადული წყლები, თევზით (უმეტესად კალმახით) სავსე, თავისუფლად ფუღუროებში დაბუდებული ფუტკარი—ყველა ეს ჰხიბლავს მუშა კაცის ფიქრს და გულს და იტაცებს აქეთკენ დასასახლებლად.

ლაგოდახს ზემოდ, სახელმწიფო მამულში, ქართველებმა ახლად გააშენეს პატარა სოფელი „შრომა", სადაც ჩაირიცხა 118 კომლი. ამათ ბევრი ვაი-ვაგლახის შემდეგ სახელმწიფო მამულების უწყებამ თითო სულ მამაკაცზე ოთხ-ოთხი დესეტინა მიუზომა. სოფ. შრომის ზემოდან იწყება სათავადო მამული. 40 კომლმა ქართველმა შეადგინა ამხანაგობა და თ. ჩოლოყაშვილისაგან, სადგლეხო ბანკის დახმარებით, შეისყიდა 505½ დეს. და გააშენა სოფელი „კავშირი". თითო დესეტინა დაუჯდა 70 მან.; 20 მან. თავიანთ ჯიბიდან გაიღეს, ხოლო 50 მან. ბანკმა მისცა. სოფლებს შრომასა და კავშირში ადგილები უკვე დაჭერილია. ამ სოფლებს ახლო-მახლო ბლომად არის სახელმწიფო ადგილები, სადაც დაასახლეს რუსები და გააშენეს სოფლები მიხაილოვკა, ივანოვკა, სვეჩინო და სხვა, ხოლო ქართველებს, ვითარცა გერებს, ჯერ-ჯერობით უარს ეუბნებიან. ან ვინ არის რიგიანი თავშემდები?! ქართველები მოქმედებენ ბრმად, უორგანიზაციოდ. ბლომად მიიწევს ხალხი თავ. აბაშიძეებისა და ჩოლოყაშვილების მამულებში. იმერლები დასახლდნენ „ფიჩხის ბოგირთან", თუმცა იქ ჰავა მოსაწონი არ არის. კაბალზე თავ. ვაჩნაძეებმა დაასახლეს თათრები, რიცხვით 100 კომლამდე. ამათთანავე ახლო სახლდებიან იმერლები. ესენი გამოდიან კანტი-კუნტად და თავადებთანაც ცალ-ცალკე სდებენ პირობებს. ახლად მოსულ მეკომურს სასახლ-კარო ადგილში ართმევენ 5 მანათს. სახნავ-სათესად აღებულ დესეტინაზე ახდევინებენ არა უმეტეს 10 მან., მაგრამ უნდა გასჩეხონ ტყე, გამოხადონ ახო და პირველშიც ერთი ორად მეტი ჯაფა გასწიონ. ადგილის სინოყივრე უხვად აჯილდოვებს მშრომელს. ტყე თითონვე იძლევა სახლებისთვის საშენობო მასალას. წელს ახალმოშენეებს სანაქებო მოსავალი ჰქონდათ. ტყე და მთა ხელს უწყობს აგრეთვე საქონლის მოშენება-შენახვას.

იმერლებზე ადრე საანდრონიკო მამულში გაჩნდნენ ოსები, მოიჯარადრენი, რომელთა რიცხვი დღეს „ხოშატიან"-ში 400 კომლამდეა. უმეზობლდებიან ამათ აგრეთვე ქართველები.

ალაზნის გაღმა მხარე თამამად შეინახავს 70,000—100,000 სულს, მაგრამ ჩვენ, ქართველებისათვის. დღემდე გამოუსადეგარია. ზოგან მამულის სივიწროვის გამო ქართველი შიმშილით კვდება, სიღარიბეში სულსა ჰლევს, აქ-კი მამული ხელ უხლებელია, მუშა ხელი არა ჰყავს! დიდი ხანია ჰგრძნობენ, რომ ქართველ ხალხისთვის საჭიროა დაარსდეს საზოგადოება, რომელიც ხელს შეუწყობდეს ქართველთა დასახლებას უმეტესად საქართველოს განაპირა კუთხეებში, მაგრამ დღემდე ამისთვის თავს არავინ იტკიებს.

რადგან ჯერ-ჯერობით ჭიაურის მხარეზე ახალ-მოშენე იმერლობას გონიერი ხელმძღვანელი არავინა ჰყავს, საჭიროა უსათუოდ პირველშივე დასახლდნენ მთის კალთებსა და ფერდობებზე და არა ჩავარდნილ-დაცემულ ტყის გულებში. ეს მთის ფერდობები წარმოადგენენ მზვარე (ЮЖНЫЙ СКЛОНЪ) ალაგს, სიღი ჰავით შემკულს, რომელიც გაცილებით უფრო მაღლა სდგას გასწვრივ მდებარე ქიზიყის სოფლებზე. ვენახ-ბაღების გასაშენებლადაც აქ საუკეთესო პირობებია. ბუნებას აქ ყველაფერი მზათა აქვს, ხოლო ხალხი იყოს მხნე და მოხერხებული. ცალ-ცალკე გადმომსვლელთ ვურჩევ ადგილობრივ ამხანაგობა შეადგინონ და ისე დაიძრან ხოლმე აქეთკენ. თავადიშვილები ჯერ-ჯერობით უარს არ ეუბნებიან ამხანაგობებს ბანკის საშუალებით მამულის მიყიდვაზე ანუ იჯარით გაცემაზე.

სიღნაღამდინ დილიჟნები დადიან ტფი-

*) იხ. „ისარი" № 218

ლის დან და ბილეთი ღირს 3—4 მ. სილნალიდან კიდევ ამ სამოსახლო ალაგებამდინ ორი ფოსტის გზაა და შეიძლება მისვლა ურმით და ცხენითაც.

**მღ. ნ. ზარნაძუშვილი.**

## სახელმწიფო სათათბიროს დეპუტატები

**კავკასიიდან.**

ტფილისის გუბერნიიდან, როგორც ვიცით, სახელმწიფო სათათბიროს დეპუტატად არჩეულ იქმნა ჟურნალისტი კ. ჩხეიძე—ს.-დემოკრატი.

ქუთაისის გუბერნიიდან—ნაფიც ვექილის თანაშემწე გეგეჭკორი, ს.-დემოკრატი.

ბათუმისა და ყარსის ოლქიდან—თავ. პროკ. შერვაშიძე, პირველ სათათბიროს წევრად ნამყოფი, უპარტიო მემარჯვენე.

დაღესტნისა და ზაქათალის ოლქიდან—ინჟენერი გაიდაროვი, პროგრესისტი.

განჯისა, ერევნისა და ბაქოს გუბერნიიდან: ხალილ-ბეკ ჰაჯი-ბაბა-ოღლი ხასმამედოვი—მაჰმადიანთა ფრაქციის წევრი, მეორე სათათბიროს დეპუტატად ნამყოფი, და სალათელიანი—ნაფიცი ვექილი, მეორე სათათ. წევრად ნამყოფი, დაშნაკცაკანი.

თერგის ოლქის ყაზახთაგან—ტიხონოვი, აფიცერი, ოქტომბრისტი.

———

14 ოქტომბერს არჩეულ იქმნენ შემდეგი დეპუტატები:

**მოსკოვი.** მოქალაქეთა პირველ კურიაში: ბარონი ნიკოლოოზ ჩერკასკოვი—მემარჯვენე, საერობო გამგეობის თავმჯდომარე; მეორე კურიაში კენჭი იყარეს კაპტერევმა—კადეტმა და ტიზენჰაუზენმა—ოქტომბრისტმა, მაგრამ ვერც ერთმა ვერ მიიღო საკმაო ხმა. ხელმეორედ კენჭის ყრის შემდეგ ხმის უმეტესობით გავიდა ტიზენჰაუზენი, ფაბრიკის დირექტორი; მემამულეებმა: ნიკოლოოზ ნეელოვი, ერობის უფროსი, მიხეილ ჩელნოკოვი—კადეტი—მეორე სათათბიროს მდივნად ნამყოფი; გლეხებმა: ივანე სპირინი—მემარჯვენე, მოვაჭრე, მუშებმა—მიხეილ ზახაროვი, ფაბრიკის მუშა. მეექვსე დეპუტატად აარჩიეს ბარონი კრიუდენერ-სტრუვე—ოქტომბრისტი, ქარხნის დირექტორი.

**რეველი.** ბარონი ალფრედი შილლინგ-პადდასი ბალტიის კონსტიტუციონურ-მონარქიულ პარტიის წევრი, მემამულე, გერმანელი; მოქალაქეთაგან: ოტტენ ბინეკს—იმავე პარტიის წევრი; გლეხთაგან: ალექსანდრე ტერრასი, სოფლის მწერალი, ესტონელი.

**ეკატერინოდარი** ყაზახების მხრივ კონდრატე ლუკას ძე ბარდიჟი, კადეტი, მეორე სათათბიროს წევრად ნამყოფი.

**ხოლმი** ხოლმის რუსების მხრივ—ეპისკოპოსი ევლოგი, მეორე სათათბიროს წევრად ნამყოფი.

**კალუგა.** ევდოკიმე ლეონტის ძე კუზოვკოვი, მონარქისტების მომხრე, გლეხი. მემამულეების მხრივ—დმიტრიუკოვი, ოქტომბრისტი; მოქალაქეების მხრივ—შეშმინცევი, ოქტომბრისტი, მეორე სათათბიროს წევრად ნამყოფი; იანოვსკი—ოქტომბრისტი, თავ.-აზნაურთა წინამძღოლი; ვლადიმირ ნიკ. ტეტერევნიკოვი, ოქტომბრისტი, მეორე სათ. წევრად ნამყოფი.

**პოლტავა.** გლეხების მხრივ—ურივცკი, მონარქისტების მომხრე, კაზაკი; მემამულეების მხრივ—ევგენი შეიდემანი, მემარჯვენე, მციდარი მემამულე; მოქალაქეების მხრივ—პილიპენკო, უპარტიო, ვექილი, მემარჯვენე; პეტრე გოროდევსკი, რუსთა კავშირის პოლტავის განყოფილების თავმჯდომარე. ოსტროგრადსკი—მემარჯვენე; ლუკაშევიჩი—მემარჯვენე, მეორე სათ. წევრად ნამყოფი; კომარევსკი—მემარჯვენე, ბლადოჩინი; გრაფი კაპნისტი—მემარჯვენე, მემამულე; გენცენვიცი—მემარჯვენე, ინჟინერი; მილორადოვიჩი—მონარქისტი, მარშალი; ნავროცკი—მონარქისტი, მარშალი.

**ნოვგოროდი.** გლეხების მხრით ევსეევი, მემარჯვენე, სოფ. მამასახლისი; მოქალაქეების მხრივ—შულგინი, ოქტომბრისტი, ვაჭარი; მემამულეების მხრივ—ლეო პოპოვცევი, 17 ოქტომ. კავშირის ცენტრის კომიტეტის წევრი; ტიმირევი—ოქტომბრისტი, მეორე სათათ. წევრად ნამყოფი, მემამულე; გრაფ ბენინგსენი—17 ოქტ. ცენტ. კომიტ. წევრი, მემამულე; ნიკოლოზ რუმიანცევი—ზომიერი კონსტიტუციონალისტი, მემამულე.

**ორენბურგი.** მემამულეების მხრივ—პოკროვსკი, ს.-დემოკრატი, სამთო ინჟინერი; მოქალაქეთა პირველ კრების მხრივ ტერებენსკი, მშვიდობიან განახლების პარტიისა; გლეხების მხრივ—ვლადიმიროვი, სოფლის მწერალი.

**სიმბირსკი.** გლეხების მხრივ—სიროტოვი, სოფ. მამასახლისი; მემამულეების მხრივ—პროტოპოპოვი ოქტომბრისტი, ფაბრიკის პატრონი.

**მიტავა.** ბარონი კამალკარი ფელკერზამი, მონარქისტი, ერნესტი კარლსბერგი კონსერვატორი, ლატიში, ლაზარე ნასილოვიჩი კადეტი.

**ვიატკა.** ბაშკიროვი—უკიდურესი მემარცხენე, ელაბუგის ქალაქის თავი; გლეხების მხრივ—კროტოვი, მემარცხენე, სოფლის მწერალი; წვრილ მემამულეების მხრივ პოპოვი, მღვდელი, კადეტი.

**ტამბოვი.** მემამულეების მხრივ—პეტროვი სოლოვი, ოქტომბრისტი, მარშალი; გლეხების მხრივ—ფომკინი, რუსთა კავშირის თავმჯდომ. ამხანაგი; მოქალაქეთა მხრივ პირველ კურიაში—კომოინი, ოქტომბრისტი, მეორე კურიაში—პეტროვი, ერობის უფროსი, რუსთა კავშირის წევრი.

**ტულა.** გლეხების მხრივ—ჩეპელევი, მემარჯვენე გლეხი; მემამულეების მხრივ—თავ. ურუსოვი, რუსთა კავშირის წევრი, დეპუტატად ნამყოფი; მოქალაქეთა პირველ კურიის მხრივ—რასტორგუევი, მემარჯვენე, ვაჭარი; მეორე კურიის მხრივ—კრილოვი რუსთა კავშირის წევრი; გრაფი ბობრინსკი—რუსთა კავშირის წევრი, დეპუტატად ნამყოფი. თ ვ. შახოვსკი—რუს. კავშირის წევრი.

**ეკატერინოდარი.** ყუბანის და თერგის არა კაზაკების მხრივ და ჩერნომორის გუბერნიაში: პოკროვსკი, უკიდურესი მემარცხენე, ექიმი.

**ვიტებსკი.** გლეხების მხრივ—ამოსენკო, უპარტიო მემარჯვენე, და საგუნოვი—ოქტომბრისტი; მოქალაქეთა მხრივ: დოპელმაიერი—ოქტომბრისტი; ევრეინოვი—უპარტიო, მემარჯვენე, კამერგერი; ერმოლაევი—რუსთა კავშირის წევრი; დეკანოზი ნიკონოვიჩი—მონარქისტი. არჩევნების წინ პოლონელმა და ებრაელმა ამომრჩევლებმა რიცხვით 30 კაცმა მონაწილეობის მიღებაზე უარი განაცხადეს და დარბაზიდან გავიდნენ.

**ტვერი.** გლეხებ-ს მხრივ: დვორიანინოვი—მემარჯვენე, სოფლის მამასახლისი; მემამულეთა მხრივ—ლადიჟენსკი, ზომიერი პროგრესისტი, გუბერნატორად ნამყოფი; მოქალაქეთა მხრივ—ბოლშაკოვი—მონარქისტი; ტროიცკი—უპარტიო, მღვდელი; შუბანსკი—ოქტომბრისტი; კუპრიანოვი—მემარჯვენე, მღვდელი; გუმილინი—მემარჯვენე.

**სტავროპოლი.** გლეხთა მხრივ—როჟკოვი—უპარტიო, სოფლის მამასახლისი; მემამულეთა მხრივ—ივანოვი—მემარჯვენე; ლიახნიცკი—უპარტიო, მემარცხენე, ნაფიცი ვექილი.

**სამარა.** აირჩიეს დეპუტატად ნამყოფი კლიუშევი—ოქტომბრისტი; ლავროვი—ოქტომბრისტი; კოვდანი—ოქტომბრისტი; ნოვიკოვი—ოქტომბრისტი, ვაჭარი; კისელევი—ოქტომბრისტი, ექიმი; ჟდ ნ ივი—ოქტომბრისტი; პოპოვი—ოქტომბრისტი; როტერმანი—ოქტომბრისტი; ელიშევი—ოქტომბრისტ ; ლვოვი—ოქტომბრისტი; მაროვი—ოქტომბრისტი; უშაკოვი—უპარტიო, ზომიერი; ალექსანდროვი—ოქტომბრისტი.

**ორიოლი.** გლეხების მხრივ—რუბცოვი, მონარქისტი, მემამულე; მოქალაქეთა მხრივ—მელნიკოვი, ოქტომბრისტი; ვასინი—მემარჯვენე, მარშალი; მემამულეთა მხრივ—ვეტჩინინი—მარშალი, დეპუტატად ნამყოფი; საერთო კრების მხრივ—ვოლოდიმიროვი, მონარქისტი, მარშალი; თავ. ტენიშევი—ოქტომბრისტი, მარშალი; ნოვიცკი—ოქტომბრისტი; ფედოროვი—ოქტომბრისტი, მარშალი.

**ჟიტომირი.** გლეხების მხრივ—ნიკიტიუკი, მონარქისტი, გლეხი; მემამულეების მხრივ—თავ. ვოლკონსკი, მემარჯვენე მონარქისტი; მოქალაქეთა მხრივ: ბერეზოვსკი — რუსთა კავშირის თავმ. ამხანაგი.

**კიშინევი.** გლეხების მხრივ—გუკინი, გლეხი; მემამულეთა მხრივ—კრუპენსკი მეორე სათ. წევრი; მოქალაქეთა მხრივ—შმიტოვი, ვექილი; ტრეტიაჩენკო—ყოფილი დეპუტატი; საერთო კრების მხრივ: დეპეცკი — მღვდელი; კარავასილი—ბერძენი, ქალაქის კალაჩას და კაგულას პატრონი; დემიანოვიჩი—ყოფილი დეპუტატი, ვაჭარი, სომეხი კათოლიკე; სინადინო—ყოფილი დეპუტატი, ქალაქის თავი, ბერძენი; პურიშკევიჩი—ყოფილი დეპუტატი. ყველა ესენი მემარჯვენენი არიან.

**რიგა.** მემამულეების მხრივ: ბარონ როზენი, ბარონ მეიერდორფი, პროფესორი ორივე კადეტი. მოქალაქეების მხრივ: ბრატკმანი ბალტიის კონსტიტუც. მონარქიულ პარტიის წევრი; გლეხი შულცენბერგი—ზომიერი.

**მინსკი.** გლეხების მხრივ: ნალივაიკო—მემარჯვენე; მემამულეების მხრივ: მეზენცევი—მემარჯვენე; მოქალაქეთა მხრივ შმიდტი—გაზ. „მინსკოე სლოვოს" რედაქტორი, მონარქისტი; პავლოვიჩი—მემარჯვენე; იაკუბოვიჩი — მემარჯვენე. მღვდელი—დეპუტატად ნამყოფი; სოლოვიევიჩი—მემარჯვენე, მღვდელი; იურკევიჩი მემამულე; ერმოლიჩიკი—მემარჯვენე; კუჩინსკი—მემარჯვენე, გლეხი.

**უფა.** გლეხების მხრივ: ტუკაევი—მაჰმადიანთა ფრაქციის წევრი, დეპუტად ნამყოფი, ბაშკირი; მემამულეების მხრივ: ბლიუმენტალი—მემარცხენე; მოქალაქეთა მხრივ: გუტონი—კადეტი; მაჰმუდოვი—მაჰმადიანთა ფრაქციის წევრი; ტევკელევი—მაჰმადიანთა ფრაქციის წევრი, დეპუტატად ნამყოფი; კოსოროტოვის—დემოკრატი; სირტელანოვი —მაჰმადიანთა ფრაქციის წევრი; გრაფ ალექსანდრე ტოლსტოი—ზომიერი, მემამულე.

**პერმი.** გლეხების მხრივ: კონდრატიევი—პროგრესისტი; მემამულეების მხრივ ისპოლატოვი—პროგრესისტი; [illegible] მოქალაქეების მხრივ: ვასილიევი—კადეტი; პეტროვი—კადეტი; [illegible] ეგოროვი; უსტინოვი—უპარტიო; ვობინსკი—პროგრესისტი; სტეპანოვი—კადეტი; ტიტოვი—მღვდელი.

**სიმფეროპოლი.** გლეხების მხრივ: გავასი—მემარჯვენე; მოქალაქეების მხრივ: პანკეევი—კადეტი; ნარზაევი—კადეტი, სომეხი; ფალც-ფეინი—ოქტომბრისტი.

**კოვნა.** რუსებმა აირჩიეს კოვალენკო—მემარჯვენე.

**ხერსონი.** გლეხების მხრივ: სტოროჩაკი; მემამულეების მხრივი დუნიკოვი; მოქალაქეების მხრივ: ვილიხინი პუხნევიჩ; ნოვიცკი—მემარჯვენე; სარდანი—მემარჯვენე; კლეპოვსკი—მემარჯვენე; ლიუტცი—ოქტომბრისტი; ბუცკი—მემარჯვენე; გრაფ ფერმორი—მემარჯვენე.

**ჩერნიგოვი.** მოქალაქეების მხრივ: რადიონოვი—მემარჯვენე; კლემენკო—ოქტომბრისტი.

**ვილნა.** რუსებმა აირჩიეს: ზამისლოვსკი—მემარჯვენე; ვერაქსინი—მემარჯვენე, მღვდელი.

**ჩერნიგოვი.** გლეხების მხრივ: ბაზილევიჩი, მემარჯვენე; მემამულეების მხრივ—ნიკოლაევიჩი, მემარჯვენე.

**ვიატკა.** კიდევ აირჩიეს ლიპიაგოვი—კადეტი; პუტიატინი—მემარცხენე; ასტრახანცევი—ს.-რევოლიუციონერი; ბაკინი—კადეტი; მერზლიაკოვი—მემარცხენე.

**სმოლენსკი.** გლეხების მხრივ: ფედოროვი—მემარჯვენე; ხომიაკოვი—ოქტომბრისტი; ლიუტოვი—ოქტომბრისტი; მიხაილოვი—მემარჯვენე; ოპოჩინინი—ოქტომბრისტი; ტანცოვი—ოქტომბრისტი.

**ორენბურგი.** ბაიბურინი—მაჰმადიანი, კადეტი; შემეტოვი—მონარქისტი; ბალალაევი—უპარტიო, მღვდელი.

**პენზა.** მოქალაქეთა მხრივ: ევსტ ფეევი—მემარჯვენე; ციტოვიჩი—მემარჯვენე; ვოლკონსკი—უპარტიო მემარჯვენე; გლეხების მხრივ აკიმოვი—მემარჯვენე; მეზენცოვი—მემარჯვენე.

**სიმბირსკი.** მესამე დეპუტატად აირჩიეს ლიკოვი—უპარტიო პროგრესისტი; ბერეზოვსკი—კადეტი; პასტუხოვი—მემარჯვენე; მოტოვილოვი—მემარჯვენე.

**იაროსლავი.** მემამულეთა მხრივ: თავ. კურაკინი — ოქტომბრისტი; გლეხების მხრივ—კოჟევნიკოვი—უპარტიო, ზომიერი; მოქალაქეთა მხრივ—ცლტეკოვი—კადეტი; ანდრეევი—უპარტიო ზომიერი; სოკოლოვი—უპარტიო ზომიერი.

---

# ფელიეტონი

## სიცრუე

ლ. ანდრეევისა

— შენ სცრუობ, ვიცი, სცრუობ!

— რათა ჰყვირი? განა საჭიროა, რომ გაგვიგონ?

— აქაც-კი სცრუობდა, რადგან მე სრულიადაც არა ვყვიროდი. მე იმისი ხელი მეჭირა და ვლაპარაკობდი ჩუმად, ჩუმად, და ის შხამიანი სიტყვა „სიცრუე" კი გველის წიწილსავით სისინებდა.

— მიყვარხარ,—განაგრძო მან:—და ეს უნდა გჯეროდეს! აი, თუ არა გჯერა!

და მაკოცა. მაგრამ როცა მოვიწადინე მოვხვეოდი, იგი აღარ იყო: გავიდა ნახევრად განათებულ ის დერეფნიდან. მეც უკან გავყე, იქით, სადაც თავდებოდა მხიარული დღეობა. მე რა ვიცი, ეს ამბავი სადა ხდებოდა? მითხრა, მივსულიყავ და მეც მივედი. ვხედავდი, როგორ ტრიალებდნენ მთელ ღამეს წყვილნი, ჩემთან არავინ არ მოდიოდა, ხმას არავინ მცემდა. ყველასათვის უცხო, კუთხეში ვიჯექ მემუსიკეებთან. ჩემსკენ მომართული იყო ყელი თითბრის დიდ საკრავისა, საიდანაც ვიღაცა დამწყვდეული ყმუოდა და ყოველ ორი წუთის შემდეგ ნაწყვეტნაწყვეტად და მოუხეშავად იცინოდა: ხო-ხო-ხო.

ხანდახან თეთრი, სურნელოვანი ღრუბელი მომიახლოვდებოდა ხოლმე. ეს **ის** იყო. არ ვიცი, როგორ ახერხებდა, რომ სხვების შეუმჩნევლად მეალერსებოდა, ერთის წამით მისი მხარი ჩემსას ეკვროდა და მე, თვალებ დაშვებული, მოკლე წუთით ვხედავდი იმის თეთრ ყელს თეთრ კაბის ჭრილობაში. როცა თვალებს ავწევდი, ვხედავდი თეთრს, სასტიკს და მართალს პროფილს, როგორიცა აქვს ხოლმე დაფიქრებულს ანგელოზს, დავიწყებულ ადამიანის სამარესთან მდგომარეს. იმის თვალებსაც ვხედავდი. ეს თვალები დიდრონი იყო, სინათლის ხარბი, ლამაზი და მშვიდი. გარს შემორტყმული ჰქონდა ცის-ფერი გუგები. რამდენსაც მეტს ვუყურებდი, იმდენად უფრო შავი, ღრმა და უმჭვირვალე მოსჩანდა. შეიძლება იმდენს ხანსაც-კი არ მიცქერია, რომ გულს ერთი ფეთქა მაინც მოესწრო, მაგრამ მე ასე ღრმად და საშინლად არ მიგრძვნია, თუ რას ნიშნავს დაუსრულებლობა და ისე მძლავრად არა მსმენია იგი, როგორც ეხლა. სანამ მე ჩემის თავისთვის უცხო არა ვხდებოდი, დაცარიელებული და უხმო, თითქმის მკვდარი, მანამ შიშით და ტკივილით ვგრძნობდი, რომ მთელი სიცოცხლე იმის თვალებში წვრილს სხივებად გადადიოდა. მაშინ მშორდებოდა, თან მიჰქონდა ჩემი სიცოცხლე და კვლავ ცეკვავდა ვიღაც მაღალ და ლამაზ კაცთან. ეს კაცი საუცხოვოდ შევისწავლე: ვიცოდი იმის ფეხსაცმელების მოყვანილობა, აწეულ მხრების სიგანივრე, ერთნაირი ხტომა თმის გაყოფილ კულულებისა. ის კი, თავის გაურჩეველის, უმხედველო თვალებით თითქოს კედელზე მაკრობდა და მეც კედელსავით სწორე და თვალთათვის არ არსებული ვხდებოდი.

როცა სანთელმა ქრობა დაიწყო, მივედი და ვუთხარი:

— წასვლის დროა, გაგაცილებთ.

გაუკვირდა.

— მე ხომ აქას უნდა გავყვე!—მიმითითა ლამაზ და მაღალ კაცზე, რომელიც ჩვენ არ გვიყურებდა. მერე ბნელ ოთახში გამიყვანა და მაკოცა.

— სცრუობ!—ვუთხარი მე ჩუმად.

— ჩვენ დღეს ერთმანეთსა ვნახავთ, უნდა მოხვიდე.—მიპასუხა მან.

როცა შინ მივდიოდი, სახლების მაღალ სახურავებიდან მწვანე და ცივი დილა იყურებოდა. მთელს ქუჩაში მხოლოდ ორნი ვიყავით—მე და მეეტლე. ის თავჩაღუნული და სახე ჩამალული იჯდა. იმის უკან მე ვიჯექ—თავ ჩაღუნული, სახე დამალული. მეეტლეს თავისი ფიქრები ჰქონდა, მე—ჩემი. იქ კი, სქელ კედლებს იქით, ათასობით ხალხს ეძინა. მათაც ჰქონდათ თავიანთი აზრები და სიზმარ-ზმანებანი. მე იმაზე და იმის სიცრუეზე ვფიქრობდი. ვფიქრობდი სიკვდილზე, და ასე მეგონა, რომ ეს ბუნდათ განათებული კედლები ჰგრძნობდნენ ჩემს სიკვდილს და იმიტომ იყვნენ ისეთი ცივი და სწორნი. არ ვიცოდი, რაზე ფიქრობდა მეეტლე. არც ის ვიცოდი, თუ რა ეზმანებოდათ იმათ, რომელნიც სქელ კედლებს იქით იყვნენ დამალულნი. მაგრამ ხომ არც იმათ იცოდნენ, რასა ვფიქრობდი და რა მეზმანებოდა მე.

ასე მივდიოდით გრძელ და სწორე ქუჩებში. ირგვლივ კი ყველაფერი უძრავად თეთრი იყო. სურნელოვანი ღრუბელი მიახლოვდებოდა და ვიღაცა დამწყვდეული ყურში ჩამცინოდა: ხო-ხო-ხო.

II

მან იცრუა, არ მოვიდა და მე ტყუილად ვუცდიდი. ნაცრის ფერი, თანაბარი გაყინული ბინდ-ბუნდი შავ ციდან ძირს ეშვებოდა. ვერ შევამჩნიე, როგორ შეიცვალა ბინდი—საღამოდ, საღამო—ღამედ. ასე მეგონა, ერთი დაუსრულებელი გრძელი ღამეაო. მე არ ვუახლოვდებოდი იმ სახლს, სადაც ჩემი სატრფო სცხოვრობდა. არ ვეკარებოდი არც იმის შუშიანს კარებს, რომელიც რკინის ფარდულიდან ყვითლად გამოიცქირებოდა. სულ ერთისა და იმავე ზომიერის ნაბიჯით იმის პირდაპირ წინ-და-უკან დავდიოდი... როცა წინ მივდიოდი, თვალს არ ვაშორებდი შუშიანს კარებს, ხოლო როცა უკან გავბრუნდებოდი, ხშირად ვჩერდებოდი და უკან ვიხედებოდი. თოვლი, თითქოს გრძელი ნემსებიაო, სახეს მიჩხვლეტავდა. ისეთი გრძელი იყო ის ცივი და წვეტიანი ნემსები, რომ გულამდის მწვდებოდა და სჩხვლეტავდა მას, დარდისა და სიბრაზისაგან დაავადებულს. ნათელ ჩრდილოეთიდან შავ სამხრეთისკენ მიჰქროდა ცივი ჰაერი, სტვენით თამაშობდა გაყინულს სახურავზე, შემდეგ, იქიდან მოგლეჯილი, ძირს ეშვებოდა და წვრილის წვეტიანის თოვლით სახეს მიჩხვლეტავდა. დინჯად უკაკუნებდა ცარიელ ფანრების შუშებს, სადაც იკლაკნებოდა მარტოხელი, სიცივისაგან მთრთოლვარე სანთლის ალი. ამ დროს ვფიქრობდი, რომ აი ამ ქუჩაზე მთელი სიცოცხლე მალე გაჰქრება, მე წავალ და მხოლოდ თოვლი იტრიალებს ცარიელს სივრცეში, ყვითელი ალი კი მოკაკული სულ ითრთოლებს სიცივესა და სიმარტოვეში.

მე იმას ვუცდიდი და ის კი არ მოდიოდა. ასე მეგონა, მე და ის მარტოხელა ალი ერთმანეთსა ვგავდით. მხოლოდ ჩემი ფარანი არ იყო ცარიელი. იმ სივრცეში, რომელსაც მე ნაბიჯით ვზომავდი, ხანდისხან გამოჩნდებოდნენ ხოლმე ადამიანები. ჩუმად ამოდიოდნენ ჩემს ზურგს უკან, დიდრონნი და მუქნი ჩემს ახლოს იძროდნენ, და მოჩვენებასავით ნაცრის-ფერნი, თეთრ სახლის კუთხის იქით ერთბაშად ჰქრებოდნენ, და კვლავ გამოდიოდნენ იმ კუთხიდან, გვერდზე მივლიდნენ და ნელა დნებოდნენ, ნაცრის ფერ უხმოდ მოძრავ თოვლით მოფენილ სივრცეში. ისინი ერთმანეთსაც ჰგავდნენ და მეც. ისე მეჩვენებოდა, თითქო ხალხი ჩემობით წინ-და-უკან დადიოდა და, როგორც მე, ყველანი ვიღაცას უცდიდნენ, ჰკრთებოდნენ, ჩუმად იყვნენ და ჩემსავით ფიქრობდნენ, რაღაცა გამოსაცნობსა და დამალონებელზე.

ვუცდიდი და ის კი არ მოდიოდა. არ ვიცი, რატომ არა ვყვიროდი და არა ვტიროდი ტკივილებისაგან. არ ვიცი, რისთვის ვიცინოდი და ვმხიარულებდი. ვუჭერდი, ვკუმშავდი თითებს, თითქოს ხელში მეჭირა რაღაცა პატარა და შხამიანი, რომელიც გველსავით სისინებდა: სიცრუე! იგი ჩემს ხელებში იკლაკნებოდა და გულზედ მკბენდა. იმის შხამისგან თავ ბრუ მესხმოდა. ყველაფერი სიცრუე იყო! გაჰქრა საზღვარი აწმყოსა და მომავლისა აწმყოსა და წარსულს შუა. გაჰქრა საზღვარი იმ დროს შუა, როცა მე ჯერ კიდევ არა ვცხოვრობდი და იმ დროს შუა, როცა ცხოვრება დავიწყე ასე მეგონა, რომ მე ან მუდამ ვცხოვრობდი ან არასოდეს არ მიცხოვრია. მუდამ, ჩემს ცხოვრებაშიაც და არ ცხოვრებაშიაც, ის მეფობდა ჩემზე. მიკვირდა, რომ მას აქვს სახელი და სხეული, რომ იმის დაარსებას აქვს დასაწყისი და დასასრული. მას სახელი არა ჰქონდა. იგი მუდამ ის იყო, რომელიც სცრუობდა, მუდამ მაცდევინებდა და არას დროს კი არ მოდიოდა. არ ვიცი—რად, მაგრამ სულ ვიცინოდი. წვეტიანი ნემსები გულს მიჩხვლეტავდა და ვიღაც დამწყვდეული ყურში ჩამცინოდა: ხო—ხო—ხო.

როცა თვალს ვახელდი, მაშინ ვხედავდი განათებულს დიდრონ ფანჯრებს, რომლებიც ჩუმად, თავიანთ ლურჯ და წითელ ენით მეუბნებოდნენ: „შენ იმისაგან მოტყუებული ხარ. ამ წუთში, როცა შენ აქა ხარ, დაიხეტები, უცდი და ეწვალები, იგი ლამაზი, ნათელი, ცრუ აქ არის და ისმენს რასაც ჩასჩურჩულებს მაღალი და ლამაზი კაცი, რომელსაც

**რიაზანი** აირჩიეს: სელივანოვი, ოქტომბრისტი; დობრომისლოვი—მღვდელი,—ოქტომბრისტი.

**მოგილევი**. გლეხების მხრივ: შევცოვი—მემარჯვენე; საზანოვიჩი—მონარქისტი, დეპუტატად ნამყოფი, პროფესორი. მოქალაქეთა მხრივ: ეპისკოპოსი მიტროფანე—მონარქისტი.

**ჟიტომირი**. აირჩიეს: ანდრეიჩუკი—მონარქისტი; დანელიუკი—რუსთა კავშირის წევრი; კლიმენკო—მემარჯვენე; გერასიმენკო—რუსთა კავშირის წევრი; ბარანოვიჩი—მონარქისტი, მღვდელი; კრილოვიჩი—რუსთა კავშირის წევრი, მღვდელი; განჟულევიჩი—მონარქისტი, მღვდელი; შულგინი—მონარქისტი; ხლოპოტოვიჩი—მონარქისტი; ბელიევი — მონარქისტი, დეპუტატად ნამყოფი.

**კიევი**. გლეხების მხრივ: კოვალენკო—კონსერვატორი; მემამულეთა მხრივ: გრაფი ბობრინსკი—მემარჯვენე; მოქალაქეთა მხრივ: დეკანოზი როზენტოვსკი—მემარჯვენე.

**ასტრახანი**. გლეხთა მხრივ: ბორიბინი—ოქტომბრისტი; მემამულეთა მხრივ: პურპუროვი—უპარტიო, პროგრესისტი, მღვდელი; მოქალაქეთა მხრივ: ნოგრადოვი—კადეტი; ლებედევი—მონარქისტი.

**ეკატერინოსლავი**. გლეხების მხრივ: ტარანენკო—უპარტიო; როდზიანკო—ოქტომბრისტი; გოლობოვი — მემარჯვენე; მატრუნვი—უპარტიო, ზომიერი, მღვდელი; მუშების მხრივ: კუზნეცოვი—ს.-დემოკრატი; ალექსეენკო—ოქტომბრისტი; ბერგმანი—ოქტომბრისტი; კამენსკი — ოქტომბრისტი; ტიშჩენკო — ოქტომბრისტი; ობრაზცოვი—რუსთა ხალხის წევრი.

**პსკოვი**. გლეხების მხრივ: ტიმოფეევი—მემარჯვენე; მემამულეების მხრივ: ტკაჩევი—ოქტომბრისტი; მიკლაევი—მემარჯვენე; ლაზრინოვსკი —მემარჯვენე; ზორინი—მემარჯვენე.

**ნოვოჩერკასკი**. გლეხების მხრივ: პლოტნიკოვი—მემარჯვენე; კაზაკების მხრივ: კადაცკოვი — მემარჯვენე; მოქალაქეთა მხრივ: კირიანოვი—მემარჯვენე; ხარლამოვი—კადეტი, დეპუტატად ნამყოფი; მემამულეთა მხრივ: ჩერნიცკი—ოქტომბრისტი; ერმოლოვი—კადეტი.

**გროდნო**. აირჩიეს: ტ ჩკინი—მონარქისტი; ესმანი—ნაციონალისტი; ბიჩი—მემარჯვენე; გლეხების მხრივ: სოლოვეი—მონარქისტი; გაბრილიუკი—მემარჯვენე; ვოიცეულკი—მონარქისტი; კუზმინსკი—მონარქისტი, მღვდელი.

**ყაზანი**. მოქალაქეთა მხრივ: კაპუსტინი—ოქტომბრისტი, პროფესორი, დეპუტატად ნამყოფი; კარიაკინი—ოქტომბრისტი; გლეხების მხრივ: ლუნინი—ზომიერი პროგრესისტი; მემამულეთა მხრივ: სოკოლოვი — ზომიერი პროგრესისტი, მღვდელი; ბოდნევი — ოქტომბრისტი, მელნიკოვი—ოქტომბრისტი; დუნაევი—კადეტი.

**დონის-როსტოვი**. აირჩიეს: აჯემოვი—კადეტი, დეპუტატად ნამყოფი; კირიანოვი—მემარჯვენე.

**კამენეც-პოდოლსკი**. გლეხების მხრივ: გოლოშაკი—მემარჯვენე; ბალაშევი—მემარჯვენე; ჩერვინსკი—მემარჯვენე.

**ყაზანი**. ეფრემოვი—უპარტიო; მაკსუმოვი—ზომიერი პროგრესისტი, დეპუტატად ნამყოფი; ენიკეევი—ზომიერი პროგრესისტი.

**ტამბოვი**. ვ ათეიკოვი—მონარქისტი; ვოლკოვი—რუსთა კავშირის წევრი; მარკოვი—ოქტომბრისტი; კომსინი—ოქტომბრისტი; კოჟევნიკოვი—ოქტომბრისტი.

**სარატოვი**. გლეხების მხრივ: გორბატოვი—მონარქისტი; უვაროვი—მონარქისტი; მასლენნიკოვი—კადეტი; როზანოვი—ს-დემოკრატი; გრიმმი—ოქტომბრისტი, ლვოვი—მშვიდობიან განახლ. პარტიისა; ივანოვი—მონარქისტი; ზლატომრეჟოვი—მონარქისტი; ლებედევი—მონარქისტი, მღვდელი; ლიხაჩევი—მონარქისტი; ისეევი—მონარქისტი.

**კიევი**. გლეხების მხრივ: სიდორენკო—მემარჯვენე; ატანაზიევიჩი—მემარჯვენე, მღვდელი; ბოგდანოვი—მემარჯვენე, პროფესორი; ბოგდანოვიჩი—მემარჯვენე; ბუბნოვი — მემარჯვენე; ვოლკოვი — მემარჯვენე; სუვჩინსკი — მემარჯვენე; ტრეგუბოვი — მემარჯვენე, მღვდელი.

**ჩერნიგოვი**. კოჩუბეი—მემარჯვენე; ისკრიცკი—ოქტომბრისტი; გლებოვი—ოქტომბრისტი; გუზი—მემარჯვენე; გამულეი—მემარჯვენე; სკოროპადსკი—ოქტომბრისტი.

**კამენეც - პოდოლსკი**. მემამულეთა მხრივ: ბალაკლეევი—რუსთა კავშირის წევრი; ჩიხაჩევი—მემარჯვენე; გიჟიცკი—მემარჯვენე; პოტოცკი—მემარჯვენე; პოდოლსკი—მე მარჯვენე მღვდელი; სენდერკო—მემარჯვენე მღვდელი; მანკოვსკი—მემარჯვენე; ანდრეიჩუკი—მემარჯვენე; ნიკოლენკო—მემარჯვენე; პახალჩისკი—მემარჯვენე.

**კოსტრომა**. გლეხების მხრივ: ანანიევი—მემარჯვენე; მემამულეთა მხრივ: ალექსანდროვსკი, მემარჯვენე—მღვდელი; სოკოლოვი—მშვიდობიან განახ. პარტ.; მუშების მხრივ: სურკოვი—ს.-დემოკრ.; მოქალაქეთა მხრივ: გერასიმოვი—კადეტი; ბოტნიკოვი—ოქტომბრისტი.

**ნოვოჩერკასკი**. მემამულეთა მხრივ: პირკოვი—კადეტი; ზახარინი—ვორონხოვი—უკიდურესი მემარცხენე; კაზაკების მხრივ: კრავცევი—მემარჯვენე; პეტროვი—მემარჯვენე.

**მოგილიოვი**. ლადომირსკი—მემარჯვენე; რუბენეცი—მემარჯვენე; ტომაშევიჩი—მემარჯვენე; ვოლინეცი—მემარჯვ. მღვდელი.

**პეტერბურგი**. 15 ოქტომბერს, ღამის 12 საათამდე მიღებულ იქნა ცნობები 327 დეპუტატის არჩევის შესახებ. ეს დეპუტატები ასე დანაწილდებიან:

| | | |
|---|---|---|
| რუსთა კავშირის წევრი . . . | 19 | დეპუტატი. |
| რუსთა განაპირა კავშირისა | 1 | " |
| რუსთა საკრებულოსი . . . . | 1 | " |
| ბესარაბიის პატრიოტთა პარტიისა | 8 | " |
| მონარქისტულ პარტიების მომხრე . . . . . . | 35 | " |
| მემარჯვენე . . . . . . . | 100 | " |
| კონსერვატორი . . . . . | 2 | " |
| კონსტ.-მონარქისტი . . . | 1 | " |
| ზომიერი . . . . . . . | 11 | " |
| ბალტიის კონს.-მონარქისტი . | 6 | " |
| ოქტომბრისტი . . , . . | 64 | " |
| მათი მომხრე . . . . . | 6 | 6 |
| პროგრესისტი . . . . . | 8 | " |
| ზომიერი პროგრესისტი . . | 9 | " |
| ზომიერი კონსტიტუც. . . | 1 | " |
| პოლონელი ავტონომისტი . . | 1 | " |
| უპარტიო . . . . . . . | 1 | " |
| მშვიდობიან განახ. პარტ. . | 3 | " |
| კადეტი . . . . . . . | 24 | " |
| მათი მომხრე . . . . . | 1 | " |
| მაჰმადიანთა ფრაქციისა . . | 6 | " |
| მემარცხენე . . . . . . | 5 | " |
| უკიდურესი მემარცხენე . . | 3 | " |
| დაშნაკცაკანი . . . . . | 1 | " |
| ს.-დემოკრატი . . . . . | 9 | " |
| ს.-რევოლიუციონერი . . . | 1 | " |

# ახალი ამბავი

✦ **მღვდლის მოკვლა**. ავჭალის ქუჩაზე გუშინ, 16 ოქტომბერს, შემდეგი მკვლელობა მოხდა. შტატს გარეშე მყოფი მღვდელი ბერიშვილი, 70 წლის კაცი, მინავლებულა ავჭალის ქუჩით და როდესაც იგი მიახლოვებია ავჭალის ქუჩის შესახვევს, ვიღაც უცნობს ჩაუკრავს კისერში პებუთი, ბებუთი იქვე მიუნებებია და თითონ მიმალულა. მღვდელი იქვე წაქცეულა და გარდაცვლილა. მოკლულის გვამი მ ხეილის სიავადმყოფოში გაჰგზავნეს.

✦ **კოოპერატიული ამხანაგობა**. ნადიროვის მამულში, როგორც ვიცით, უმთავრესად ღარიბი ხალხი დასახლდა· რადგან ძვირად უჯდებათ პურისა და სხვა სანოვაგეს შეძენა, მათ გადასწყვიტეს, დააარსონ კოოპერატიული ამხანაგობა, რომელმაც უსაჭიროესი სანოვაგე უნდა გაჰყიდოს.

✦ **ქართული წარმოდგენა**. დღეს, 17 ოქტომბერს, სახაზინო თეატრში მეორე ქართული წარმოდგენაა. წარმოადგენენ ორ ახალ პიესას: მეტერლინკი, ერთ მოქმედებიან დრამას „დაუპატიჟებელს“ თარგ. მ. ადამაშვილისა და ლანგმანის პიესას „ახალი ალას“, თარგმ. ევდოშვილისა. წარმოდგენის დაწყებამდე ი. გომართელი წაიკითხავს რეფერატს მეტერლინკის შესახებ.

✦ **ტფ. გენ.-გუბერნატორის განკარგულებანი**. ორენბურგის გუბერნიაში ხუთის წლით იგზავნებიან წიწამურელნი სოლკა და სანდრო შერმადინოვები და გოლოვნელი ლავრენტი ასათიანი. ტფ. გუბერნიაში ცხოვრება აეკრძალა გ. ბარიკინს. წესების არ ასრულებისათვის ოროლი თვით დააპატიმრეს სიღნაღის მაზრელები მალხაზ და ზაალ კორკაშვილები და ლეჩხუმელი სამსონ კერვალიშვილი; სამი თვით—სიღნაღის მაზრელი—ს. ჯალიაშვილი.

✦ **უმაღლესი კურსები**. დღეს, საღამოს 6 საათზედ, ი. აბულაძე წაიკითხავს მორიგ ლექციას ქართულ ენის შესახებ. ლექციის საგანია: ქართულ ზმნათა შედგენილობა და მათი კლასიფიკაცია.

✦ **ტარიფის საქმე**. სატარიფო საბჭომ განიხილა შუამდგომლობა ნავთის მრეწველებისა, რომ დაიკლოს გადასატანი ფასი ნავთზე ბაქოდან ბათუმამდე და ბაქოდან ნოვოროსიისკამდე და უარჰყო იგი. ჩრდილოეთიდან სამხრეთით გამოუგზავნიათ 1000 ვაგონი საქონლის გადატან-გადმოტანის დასაჩქარებლად.

✦ **პოლიტიკური საქმე**. ორშაბათს, 15 ოქტომბერს, ტფ. სამოსამართლო პალატაში განსახილველად დანიშნული იყო საქმე რკინის გზის მთავარ სამმართველოს 30 მოხელისა, რომელთაც ჰბრალდებოდათ გაფიცვის მოხდენა. საქმე გადაიდვა სხვა დროისათვის, რადგანაც ზოგიერთი მოწმენი არ გამოცხადდნენ.

✦ **მკვლელობა**. 15 ოქტომბერს, ღამის 12 საათზედ, მორიგე მეეზოვეებმა სურფ კარაპეტის ხევში ნახეს გვამი მოკლულ კაცისა, რომელსაც დანა ჰქონდა ჩაკრული. მოკლულის გვამი მიხეილის საავადმყოფოში გაჰგზავნეს. იქ გამოირკვა, რომ მოკლული ექსარხოსის კანცელარიის მოხელეა, გვარად ჟუკოვი. მიზეზი მკვლელობისა და ვინაობა მკვლელებისა ჯერ არ არის გამორკვეული.

✦ **გაზეთის დახურვა**. ტფ. გენ.-გუბერნატორის განკარგულებით, დაიკეტა ტფილისში სომხური გაზეთი „შავიგ“.

✦ **კენჭის ამოღება**. 15 ოქტომბერს დაიწყო მოქმედება ტფ. ქალაქის სამხედრო საქმეთა საკრებულომ. წელს დაბარებულია კენჭის ამოსაღებად 700 კაცი. ამ დღეს შეამოწმეს სიები, გუშინ-კი კენჭის ამოღება დაიწყო.

✦ ტფ. ქალაქის საბჭოს სხდომა დაინიშნა ხვალ, 18 ოქტომბრისთვის.

✦ 15 ოქტომბერს, საღამოს 10 საათზედ, ველიამინოვისა და ლერმონტოვის ქუჩების შესართავთან მეპურესთან შევიდა სამი კაცი. თორნეში ამჟამად იმყოფებოდა ნოქარი ჯაჯანოვი. უცნობები ჯერ მიესალმნენ ჯაჯანოვს, შემდეგ ერთმა დაუმიზნა რევოლვერი მეორემ გასწია დახლისაკენ ფულის ამოსაღებად. ჯაჯანოვმა შეჰქნა ყვირილი, რის გამოც მძარცველები შეშინდნენ და გადაიმალნენ.

✦ 13 ოქტომბერს, საღამოს 9 საათზე, ანდრეევის ქუჩაზე სოლოდოვის ჭურჭლეულობის მაღაზიაში შევარდა სამი შეიარაღებული კაცი და მოისურვა ფულის გატაცება. სოლოდოვი მათ არ შეუშინდა და რევოლვერი გაისროლა. უცნობებმაც ოთხჯერ დასცალეს რევოლვერი, მაგრამ ვერაფერი ავნეს მედუქნეს და ვერც ფული წაართვეს.

✦ 14 ოქტომბერს შუა ბაზარში პოლიციამ დააპატიმრა ტფ. მცხოვრები ტატოშნიკოვი, რომელსაც გაჩხრეკის დროს აღმოაჩნდა ქალში მანეთიანები და ოქროს ბეჭედი.

✦ 14 ოქტომბერს შუაბაზარში პოლიციამ დააპატიმრა კურსკის გუბერნიის მცხოვრები სტეფანე შიმინი, რომელსაც აღმოაჩნდა ნაქურდალი ნივთები.

# ქუთაისის ქრონიკა

—:—

✦ 14 ოქტომბერს ოლქს სასამართლოს შენობაში მოხდა არჩევანი სახელმწიფო სათათბირო წევრისა. კრება გახსნა სწორედ 12 საათზე მარშალმა სვ. წერეთელმა. გამოცხადდა 36 ამომრჩეველი. აკლდა ქუთაისის მაზრის გლეხთა წარმომადგენელი კობალეიშვილი, რომელიც, როგორც მკითხველს მოეხსენება, დაჭერილია და ნიკო ნიკოლაძე, რომელმაც თ-დ ნიჟარაძეს დეპეშით აცნობა, რომ იგი თანახმა არ არის კენჭი იყაროს დეპუტატის ადგილზე. როცა თავმჯდომარემ შეკრებილთ წინადადება მისცა, რომ ბარათებით კანდიდატები დაასახელეთო. ამომრჩეველმა თ-მა ოთარ დადეშქელიანმა განაცხადა, რომ უმცირესობა კანდიდატს არ დაასახელებს, ვინაიდან იგი მოკლებულია ყოველ ღონეს თავისი წარმომადგენელი იყოლიოს სათათბიროშიო; ბ-ნი ვლ. მიქელაძემაც განაცხადა, რომ იგი, სხვა მოსაზრებით, არ დაასახელებს კანდიდატს. შემდეგ ამისა თავმჯდომარეს ჩაბარდა 21 ბარათი, რომლებითაც ერთხმად კანდიდატად დაასახელეს ევგენი გეგეჭკორი. კენჭს ყრას შეუდგენ და 21 ხმით წინააღმდეგ 14 ხმისა დეპუტატად არჩეულ იქნა ნაფიც ვექილის თანაშემწე ევგენი გეგეჭკორი. გათავდა უფერულად დაწყებული არჩევნები. არა მგონია, სოციალ-დემოკრატები ამ არჩევნებით მაინცა და მაინც კმაყოფილნი იყვნენ. მათ დაჰკარგეს ფოთი და ოზურგეთი; სამაგიეროდ მათ მიემხრნენ ორი მაზრის მსხვილ მემამულეთა წარმომადგენელნი. მსხვილ მემამულეთა რწმუნებულების ხმებით რომ სხვა პარტიის კაცი აერჩიათ დეპუტატად, ს.-დემოკრატები ერთ განგაშს ასტეხდნენ.

✦ 13 ოქტომბერს, საღამოს 8 საათზე, თავის ბინის მახლობლად დასჭრეს სომხის მღვდელი ტერ-ოსეფ ამირალიანი. პატარა ხანს უკან დაჭრილი გარდაიცვალა, ხოლო მკვლელები მიიმალნენ. მკვლელობის მიზეზად ასახელებენ კერძო დამოკიდებულობას ამირალიანისას. მითქმამოთქმა ამ მკვლელობის შესახებ აქაურ სომხების კოლონიაში დიდია.

✦ პოლიტეხნიკუმი შანტაჟს საგნად გაიხადეს ქუთაისის ნაძირალებმა და ვინც არა მგონია ვითომდა პოლიტეხნიკუმის სასარგებლოდ ფულს აგროვებს. ერთ სტუდენტს დაჰქონდა სია კერძო პირებთან და აგროვებდა ფულს პოლიტეხნიკუმის სასარგებლოდ; ეხლა ვიღაცას მოუპოვებია ქალაქის თავის ადარბაზო ბარათი და ამით ფულს აგროვებს პოლიტეხნიკუმისთვის. მოქალაქეთა საყურადღებოდ საჭიროდ მიგვაჩნია აღვნიშნოთ, რომ პოლიტეხნიკუმის დასაარსებლად საჭირო ფულის მოგროვება მინდობილი აქვს შავი ქვის მრეწველთა საბჭოს.

# ქალაქის საქმეები

ტფ. ახალ ხმოსნების სხდომა 15 ოქტომბერს მოხდა. ამ დღეს ხმოსნებმა ფიცი მიიღეს. სხდომა 9 საათზე დაიწყო. თავ. ხერხეულიძემ სიტყვით მიმართა ხმოსნებს. ჯერ მიულოცა და შემდეგ დაახლოვებით გააცნო თვითმართველობის მდგომარეობა. თავ. ხერხეულიძემ აცნობა ხმოსნებს, რომ ძველმა საბჭომ ძალიან სამძიმო სამკვიდრო დასტოვა და ახალ ხმოსნებს ბევრი შრომა და ენერგია დასჭირდება საქმეების ნორმალურ მდგომარეობაში ჩასაყენებლად. ძველმა საბჭომ და განსაკუთრებით ქალაქის გამგეობამ ბევრი დავიდარაბა გამოიარა რევოლიუციის დროს. ჩვენს დროს მოხდა სომეხთათართა შეტაკება და სხვა. ფული ბევრი იხარჯებოდა, შემოსავალი კი ცოტა იყო. გიმეორებ, ბევრი ფული და შრომაა საჭირო ქალაქის საქმეების გასაკეთებლად. ამას გარდა შეუსრულებელ განსახორციელებელია ბევრი დიდი საქმე. ზოგის პროექტებიც მზადაა და ახალ ხმოსნების უნარზე იქნება დამოკიდებული მათი განხორციელებაო. ქალაქის თავმა თავის სიტყვა დაასრულა იმედის გამოთქმით, რომ ახალი ხმოსნები შესძლებენ უკვეთლისავე დაბრკოლების თავიდან აცილებას და თვითმართველობის ნორმალურ მდგომარეობაში ჩაყენებისა[illegible]

საბჭომ შემდეგ [illegible] ჟ. დუნკავიჩი საბჭოს [illegible] შემთხვევებისათვის, როდესაც ქალაქის თავს არ შეუძლიან თავმჯდომარეობა. ქალაქის თავის არჩევანი დაინიშნა 29 ოქტომბრისათვის, ქალაქის მდივნისა—ორი კვირის შემდეგ ქალაქის თავის არჩევიდან. საბჭოს კომისიების შესახებ მოხსენებას შემდეგ სხდომაზე მოისმენენ.

პარასკევს, 19 ოქტომბერს, ხმოსნებს კერძო თათბირი ექნებათ ქალაქის თავის კანდიდატის დასასახელებლად.

კამათი გამოიწვია ხმ. ვართანოვის განცხადებამ, რომ შეიძლება თუ არა გამგეობის მიერ დაქირავებული მოხელე ხმოსნად იყოს. ეს განცხადება გამოიწვია ექიმის სტეფანიანცისა, ტეხნიკოსის დისიცანისა და სამხედრო საკრებულოს საქმის მწარმოებლის მამულოვის ხმოსნად არჩევამ. გარდა ხმ. ტიგრანიანცისა, ყველამ შეუძლებლად სცნო ამათი ხმოსნობა. საბჭომ მიიღო წინადადება, რომლითაც შეუძლებლად იქმნა ცნობილი დაქირავებულ მოხელეს თანამდებობის ხმოსნის წოდებასთან შეერთება. კამათის დროს წამოყენებულ იქმნა საკითხი იმ ხმოსნების შესახებაც, რომელთაც ჯამაგირიანი ადგილები უჭირავთ თვითმართველობაში. საბჭომ ამ საკითხის განხილვა გადასდო.

დანარჩენი დრო საბჭომ მოანდომა ხორცის ნიხრის შესახებ მოხსენებას. ქალაქის გამგეობის მიერ შეკრებილ ცნობებიდან გამოირკვეულა, რომ პური ძვირია ყველგან რუსეთში. ამიტომ გამგეობას საჭიროდ უცვნია ნიხრის მომატება: თორნის პური უნდა გაიყიდოს გირვანქა $5^1/_2$ კაპ., ფურნისა: პირველი ხარისხისა—5 კაპ., მეორისა $4^1/_2$ კაპ. სხდომას მეპურეებიც დაესწრნენ; მათ განაცხადეს, ნიხრი თუ არ მოემატა უთუოდ შეუძლებელია პურის გამოცხობა, რადგან გავღატაკდებითო. ფქვილი ჯერ საზოგადო მიზეზებით გაძვირდა, შემდეგ აქ ადგილობრივი მეფქვილეები გვძარცვენ ტყავსაო.

ხმ. ელიავამ გამგეობას წარუდგინა განცხადება, რკინის გზის 700 მუშის მიერ ხელმოწერილი. მუშები ითხოვენ გამგეობისაგან პურის საქმის მოწესრიგებას. ელიავამ მხარი დაუჭირა გამგეობის დადგენილებას და განაცხადა, თუ თქვენი გამოკვლევა სინამდვილეა, ნიხრი ისე უნდა დაწესდეს, როგორც თქვენს მოხსენებაშიაო.

ხმ. ვერმიშევმა კარგა ხანს ილაპარაკა მან სთქვა, შეკრებილ ცნობებით ირკვევა საზოგადოდ პურის სიძვირე. საბოლოვოდ საკითხს დღეს ნუ გადავწყვეტთ, უმჯობესია ერთი კვირით გადავდოთ და მანამდე ცნობები მოვკრიბოთო.

კამათმა ღამის 1 საათამდე გასტანა. საბჭომ დროებით, ასე 10 დღემდე მიიღო გამგეობის მიერ შემუშავებული ნიხრი.

# პროვინციის ცხოვრება

—:—

**კახეთი**. ეს ორი თვე იქნება, რაც მეურმეებმა თბილისში წასაღებ ღვინოზე ქირა მოუმატეს და პირობა დასდეს, თელავსა ახლო-მახლო სოფლებიდან ორი ბოჭკა ღვინო 25 მან, ნაკლებ არ წაიღონ. მხოლოდ გაღმა მხრის სოფლიდამ—30 მან. ნაკლებ. ამან დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია.

წინად თბილისამდე ზაფხულში 10—15 მან. იყო, შემოდგომაზე 15—20 მან., ხან ცოტა მეტიც. საშაღნედ მარტო ღვინოს ეზიდებიან კახეთიდან. ქირაზე მიდიან უფრო მაშინ, როცა გლეხი შინაურ საქმეს გადაურჩება და ფული გაუჭირდება—უმთავრესად ზაფხულ-შემოდგომაზე, როდესაც მეფურგუნეებიც ნაკლებ ეტანებიან კახეთს.

ქირაზე უფრო შეძლებულნი დაიარებიან, რადგანაც ღარიბ-ღატაკს ვინ მისცემს საქონელს. თითო სოფელში 10—15% მეტი არც-კი ივლის ქირაზე. რასაკვირველია, მეურმე გლეხებმა მართლა თავიანთ სასარგებლოდ შეხედეს და დადებულ ფასზე ნაკლებ არ მიდიოდნენ და არც მიდიან, მაგრამ იმათშიაც გამოჩნდა ბევრი შორსმჭვრეტელი, რომელთაც სხვანაირად შეხედეს საგანს და ჭკვაში არ მოსდიოდათ ეს მომატება. ბევრიც მზად იყო ნაკლებად წასულიყო, მაგრამ წინააღმდეგობა ვერ გაბედეს. მას შემდეგ გზაში ამოწმებდნენ მეურმეებს და თუ დაწესებულ ქირაზე ნაკლებად მიჰქონდა, ურემს დაუყენებდნენ და ღვინის პატრონს ქირას ამატებინებდნენ, თუ არა და აღარ გაუშვებდნენ. ასეთი მაგალითები ბევრი იყო. ამასთან ქირაზე მიმავალთ 1 მან. ახდევინებდნენ, მხოლოდ რას ხმარ-

---

შენ ეზიზღები. შენ რომ აქ შემოვარდე და მოჰკლა იგი, კარგს იზამ, რადგან სიცრუეს მოჰკლავ“.

მე მაგრა ვუჭერდი თითებს, რომლებშიაც დანა მეჭირა, და სიცილით ვუპასუხებდი:

— დიახ! მოვკლავ!

მაგრამ ფანჯრები დაღვრემილნი მიცქეროდნენ და დაღვრემილად მეუბნებოდნენ:

„შენ იმას ვერას დროს ვერ მოჰკლავ, ვერას დროს, იმიტომ რომ ის იარაღი, რომელიც ხელში გიჭირავს ისეთივე სიცრუეა, როგორც იმისი კოცნა“.

დიდი ხანია, გაჰქრნენ უხმო აჩრდილები, რომელნიც ვიღაცას უცდიდნენ; ცივს სივრცეში მარტო მე და ყინვისაგან მოკაკული ალი დავრჩით. შორი-ახლოს მდგომარე სამრეკლოს საათმა დაჰკრა. იმისი მოწყენილი, მთრთოლვარე, ლითონიური წკრიალი ცივს სივრცეში მიჰფრენდა და თოვლში იკარგებოდა. დავიწყე თვლა და გამეცინა: საათმა თხუთმეტი დაჰკრა. სამრეკლოც ძველი იყო და საათიც და თუმცა სწორედ დადიოდა, მაინც ურიცხვჯერ ჩამოჰკრავდა ხოლმე. ხანდახან იმდენს რეკდა, რომ მოხუცს მნათეს მაღლა ასვლა და მთრთოლვარე ჩაქუჩის გაჩერება უხდებოდა. ვისთვის სცრუობდა ეს მთრთოლვარე, ძველებურად მწუხარე, სიცივით შებორკილი ხმები? როგორი შესაბრალისი და უაზრო იყო ეს არა საჭირო სიცრუე!

საათის უკანასკნელ ცრუ ჩამოკვრასთან ერთად შუშიანი კარები შეიძრა და კიბეზე ვიღაცა მაღალი ჩამოვიდა. მარტო ზურგი დავინახე, მაგრამ მაინც მაშინვე ვიცან, რადგან ეს საზიზღარი და ამაყი გუშინვე მყავდა ნანახი. იმისი სიარულიც ვიცან, მაგრამ დღეს უფრო სუბუქი და რწმენით სავსე იყო, ვიდრე გუშინ ასე არა ერთხელ მოვშორებივარ ამ კარებს; ასე დადიან ისინი, რომელთაც ცრუ ქალის ტუჩები ახლად დაუკოცნიათ.

(დასასრული იქნება)

დებოდა ეს ფული და სად მიდიოდა, ერთმა ალლახმა უწყოდა და უწყის.

ზოგჯერ მეურმე და დამქირავებელი სხვა ხერხს მიჰმართავდნენ, ბეის 15 მან. ნაცვლად 5 მან. აძლევდნენ, და წერილში კი ერთმანეთის თანხმობით სწერავდნენ, რომ ჩამოტანისას 10 მან კიდევ მივცეთო, რაც 25 მან. გამოდიოდა. უმრავლესობა კი ასე არა თანხმდებოდა ცალკე თავის სარფისათვის და ცალკე შიშს იმიზეზებდა.

ასეა თუ ისე, ჩვენმა მოვაჭრეებმა კარგი მედა დაიჭირეს: ამ გარემოებით ისარგებლეს და რასაც გადატანაში მოუმატებდნენ, იმის ღვინის ფასში აკლებდნენ, რამაც ხელი შეუწყო ღვინის ფასის დაცემას. ამას გარდა გაიგეს სხვა და სხვა მხრის მოვაჭრეებმა, რომელთაც თელავში და სოფლებში ნათესავებთან და ნაცნობებთან მიწერ-მოწერა აქვთ გამართული და იტყობინებიან თურმე, თქვენკენ აღარ ვაპირობთ წამოსვლასაო. წინა წლებში ამ დროს რამდენა სირაჯი უოფილა მოსული, ამ ბოლო დროს კი ძრიელ იკლო არეულობის გამო.

ქირაზე ფასის მომატებამ ისევ მდიდრები ასარგებლა. საქონელი კახეთში ისევ შეძლებულ გლეხს ჰყავს, თორემ ორი უღლის პატრონი თავის საქმესაც ვერ ასვლია და ქირაზე როგორღა ივლის. ამნაირათ ამ გარემოებით ისევ შეძლებულნი ისარგებლებენ და ამავე დროს, ხალხის მასსის კეთილდღეობას კი ძირი ეთხრება და სიღარიბის დამართისაკენ მიექანება. მაგრამ ნუ დაგვავიწყდება, რომ ჩვენ ბედნიერ სამშობლოში ხალხის გაღარიბება ზოგს სასარგებლო საქმეთაც მიაჩნია. **ეული.**

—:—

**თასმალო (საინგილო).** ისე იშვიათად შეჰხვდებით საინგილოს შესახებ ჩვენ დრო გამოშვებით გამოცემებში წერილებს, რომ ზოგს ეგონება, ალბად, არაფერი საყურადღებო არა ხდება საინგილოში და ამიტომ არავინ არაფერს იწერებაო. ამისი მთქმელი სასტიკად შესცდება. საჭიროა ოდნავ თვალი გადაავლოთ საინგილოს და თვალწინ გადაგეშლებათ საზარელი სურათი ქართველობის თან და თან ამოვარდნისა და გაქრობისა. რაც დრო გადის, ქართველობა უფრო მცირდება და შორს არ არის ის დრო, როცა აქაური ქართველობა მარტო სოფელ კაკში და იქნება შეჩენილი. ქართველობა იმიტომ კი არ ცოტავდება, რომ სხვაგან სადმე მიდიან ან ესახლებიან; არა, ისინი, თითონ იქმენ თავიანთ თავს. ის სოფლები, რომელნიც ამას წინად წმინდა ქართულს ლაპარაკობდნენ, დღეს სრულიად აღარ ლაპარაკობენ. იმათი სამშობლო ენა დღეს თათრულია და თითონაც თავიანთ თავს თათრებს უწოდებენ. რომ უთხრათ, ქართველი ხარო და მხოლოდ სარწმუნოება გაქვს თათრული, მუსულმანურიო, ის გაგლანძღავთ: მე არც, გურჯილვარ და არც ვიქნები ქართველიო. ასე გაქრა და ჰქრება ქართული ენა მრავალ სოფლებში.

ქართველობა დღეს ოდნავ ბჟუტავს იმ ორიოდე სოფელში, სადაც ქრისტიანობაა. ასეთი სოფელი იყო ს. თასმალოც. თასმალოში ოცს კომლამდის ქრისტიანი იყო, მაგრამ ეს ოცი კომლი დღეს ორს კომლზედ დასულა, დანარჩენი კი გამუსულმანებულან. სავალალო და სამწუხარო აქ ის არის, რომ ხალხი საზოგადოდ მთელს ზაქათალის ოლქში ვერ არჩევს სარწმუნოებასა და ეროვნებას, თუ ქართველი ხარ—ქრისტიანი ხარ, თუ თათარი—მუსულმანი. ქრისტიანობასთან აქ შეუკავშირებიათ ქართველობაც და თუ მუსულმანმა ქართველმა-ინგილომ აღიარა ქართველობა, იმას ეშინიან, დღეს თუ ხვალ მოვლენ და ქრისტიანობას მიმაღებინებენო. ამიტომ მთელს მუსულმან ინგილოებში ისეთი აზრია გავრცელებული, რომ რაც ჩქარა დავივიწყებთ ქართულ ენას, უკეთესი იქნებაო. ეხლა ამ სოფლის მღვდელი სხვაგან გადაიყვანეს და სასულიერო მთავრობა აპირებს აქ შტატის დაკეტვას.

საჭიროა, იქ მაინც, სადაც ჯერ კიდევ ქრისტიანობაა, დაარსდეს ქართული სკოლები. **ს. ინგილო.**

—

**გურია.** როგორც ამას წინად გწერდი, ს. ბერეჟოულში მოჰკლეს სტრაჟნიკები. იმავე დღეს ინგუშებმა მოჰკლეს ერთი კაცი, ხოლო მეორე დასჭრეს. გარდაიცვალა აგრეთვე დაჭრილი სტრაჟნიკი. გაჰგზავნეს ჯარი, მაგრამ იმავე დღეს დაბრუნდა; მხოლოდ დაიბარეს დეპუტაცია. როგორც გავიგეთ, მცხოვრებთ ჯარიმა შეაწერეს.

მეტად გახშირდა ქურდობა ავაზაკობა და მარტოხელობა. ისედაც გადატაკებულ ხალხს ახლა ეს უბედურებაც დაატყდა. ესენი მოქმედობენ ამა თუ იმ პარტიის სახელით, მაგრამ არა მგონია, ასეთი ხულიგანები რომელსამე სოციალისტურ პარტიას ჰყავდეს. ამას წინად შემოქმედში მისულიყვნენ ერთ კაცთან და მუქარით მოეთხოვათ ფული. მას უარი განეცხადებინა. იმათ ეთქვათ, ამა და ამ ადგილზე დაგვიტოვე ფული, თორემ ცოცხალს არ გაგიშვებთო. ასეთი ამბავი ხშირია დღეს გურიაში. მიღებულია ზომები ხალხის მხრივ.

მოსავალი წელს ძლიერ მცირე იყო გურიაში. მესამედი არ მოსულა იმისა, რაც წინა წლებში მოდიოდა.

ავადმყოფობა ციხეში თანდათან ძლიერდება, მაგრამ აქაური ადმინისტრაცია ყურს არ იბერტყავს.

27 ამ თვეს ოზურგეთში გაიმართება საღამო ილია ჭავჭავაძის სახსოვრად. შემოსავალი გადაეცემა წერა-კითხვის საზოგადოებას. **თბილი.**

## მუშების ცხოვრება

—:—

**დურგალთა ახალი კავშირი.** „ჩვენი გზის“ გუშინდელ ნომერში იგივე მუშა შემცდარად არ აღიარებს თავის თავს ჩემთან კამათში და კიდევ სწერს, ვითომ მე პასუხი არ მიმეცეს მისთვის. სწერს, შენ „განზრახ გვერდს უხვევ ჩვენ მიერ პრინციპიალურად დასმულ კითხვებსაო“. გასაკვირველია, რომ მუშას ჩემ საპასუხო წერილში გადაჭრილი პასუხი ვერ ამოუკითხავს, ხოლო თუ ამოიკითხა, ან თვითონ რად დაჰკარგავს დროს ტყუილა უბრალო წერაში, ან მე რად მაკარგვინებს! იმედი მაქვს, ეხლა მაინც წაიკითხავს პასუხს, გაიგებს და გულახდილად აღიარებს: მე არ მეგონა, თუ ახალი კავშირი ნამდვილ პროფესსიონალურ კავშირის ნიადაგზე იდგა; ეხლა კი მივხვდი, რომ შემცდარი ვიყავ.

აი ბრალდები და მისი პასუხი:

შეკითხვა 1: „მუშათა პროფესიონალურ კავშირში ალაგი არ უნდა ჰქონდეს ხაზეინს, მოიჯარადრეს, ერთის სიტყვით, იმათ, ვინც დაქირავებული მუშა არ არის; ახალ კავშირში კი კავშირდებიან როგორც დაქირავებული მუშები, ისე მოიჯარადრე—ხაზეინებიო.“

პასუხი: **ჩვენი კავშირი საქმეს იღებს, როგორც დღიურად, ისე ნარდად, მაგრამ ჩვენში დაქირავებულ მუშას ალაგი არა აქვს. ჩვენი წევრები, როგორც დღიურ მუშაობიდან, ისე ნარდიდან იღებენ ნაშრომს შრომის და კვალად, რომლის ნორმას თვით კავშირი სწყვეტავს. ჩვენში არ არის ხაზეინი და მოიჯარადრე.**

მე მგონია გაუგებარი აქ არაფერია. მაგრამ, მუშამ, რომ კარგად გაიგოს კიდევ დავუმატებ: **ჩვენი კავშირის წევრები არიან დაქირავებული მუშები და ჩვენ არავის არ ვქირაობთ.**

შეკითხვა 2: „ვის წინააღმდეგ იბრძვის ეს ახალი კავშირი“-ო.

პასუხი: **იმ პირების წინააღმდეგ, რომელნიც ხაზეინობენ; საქმეს იჯარით იღებენ, სხვას ამუშავებენ და თვითონ უმუშაოდ ფუფუნებაში სცხოვრობენ.**

ყველა ამის შემდეგ მე დარწმუნებული ვარ, ჩემი მოკამათე მუშა დანამდვილებით გაიგებს: დურგალთა ახალი კავშირი მართლა ამნაირად არის მოწყობილი, თუ არა, და დარწმუნდება რა ჩემს სიმართლეში შემცდარად აღიარებს თავის თავს. **ახალ კავშირის წევრი.**

## სასამართლო

### შეიარაღებული აჯანყება ბათუმში

ტფ. სამოსამართლო პალატის სესიამ ბათუმში გაარჩია შეიარაღებულ აჯანყების საქმე. სამართალში მიცემული იყო 14 კაცი. ერთი მათგანი, ბეგრანიძე ავადმყოფობის გამო არ გამოცხადდა, ამიტომ სასამართლომ მისი საქმე გადასდო. ბრალი ედებათ: აბაშიძეს, მიქელაძეშვილს, მახვილაძეს, სტუმაკოვს, კოვალევს, ერქომაიშვილს, ექიმ მადლაძეშვილს, ინჟინერ კალატოზიშვილს, აბრამიანცს, ასათიანს, კამენსკის, თოხაძეს და კეკელიძეს 1 წ. 101 მუხლის ძალით. მათ შეუდგენიათ ბათუმში ისეთი კავშირი, რომელსაც აზრად ჰქონდა რუსეთში არსებულ სახელმწიფო წეს-წყობილების ნაძალადევი შეცვლა და 1905 წ. 28, 29 და 30 ნოემბერს ბათუმში სცადეს აჯანყების მოხდენა. სტუმაკოვი და კოვალევი საჯაროდ აგიტაციას ეწეოდნენ, ბეჟანიძე, აბრამიანცი, მიქელაძეშვილი, ერქომაიშვილი, აბაშიძე, ბეიზაძე, მახვილაძე და მადლაშვილი პირადად მონაწილეობას იღებდნენ ნოემბრის აჯანყებაში, შეაგროვეს ხალხი ქალაქის საბჭოში და უქადაგებდნენ ადმინისტრაციის ამოჟლეტას, იარაღის წართმევას, ტელეფონის გაფუჭებას, ბარიკადების გაკეთებასა და სხ. მათვე ჰბრალდებათ ხოპერის პოლკის ჯარის კაცებისთვის უმბარის სროლა. კალატოზიშვილი, ასათიანი, კამენსკი, თოხაძე და კეკელიძე სხვებთან ერთად 30 ნოემბერს დაეცნენ სადგურ ბათუმს, შეამტვრიეს ჟანდარმების ოთახის კარები, დაამტვრიეს იარაღის ყუთები და გაიტაცეს რევოლვერები, თოფები და პატრონები.

ბრალდებულებს იცავდნენ ნაფიცი ვექილები კლახკი, ელიავა, ბარათაშვილი, გინკულოვი, ესენი და გრუზენბერგი. საქმის გარჩევას ხუთ დღეს მოუნდნენ. მეხუთე დღეს სასამართლომ შემდეგი განაჩენი გამოაცხადა: მ. მიქელაძეშვილს, ასლანბეგ აბაშიძეს და კ. მახვილაძეს ჩამოერთვათ ყოველ გვარი უფლებები და გადასახლებულ იქმნენ ციმბირში; ალ. მადლაშვილს—დაპატიმრება ორი წლით: სტუმაკოვს და კოვალევს—ერთის წლით დაპატიმრება; თ. ერქომაიშვილი, აბრამიანცი, ალ. კალატოზიშვილი, გ. ასათიანი, დ. თოხაძე, კ. კამენსკი და პ. კეკელიძე სასამართლომ გაამართლა.

## წერილი რედაქციის მიმართ

—:—

(ქუთაისის გუბერნიის თავად-აზნაურთა სტიპენდიების განმანაწილებელ კომისიის საყურადღებოდ).

დადგა თუ არა სამასწავლო წელი, ქართველი სტუდენტობა ჩვეულებისამებრ გამოემგზავრა რუსეთის სხვა და სხვა ქალაქში. ზოგიერთს ის იმედი ასულდგმულებდა, რომ მალე ოქტომბერი დადგება და სტიპენდიებს მიიღებენ, თანახმად ფინანსთა მინისტრის პასუხისა ქუთაისის გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლის დეპეშაზედ. მაგრამ არ გამართლდა იმედი: გაზეთ „ისარ“-ში შემდეგსა ვკითხულობთ: „სტიპენდიების განმანაწილებელმა საგუბერნიო კომისიამ უკვე დაამტკიცა სტიპენდიების განაწილება, მაგრამ ეს რაღაც ენუქას ანდერძს მოგვაგონებს: ფული არსად არის და სამინისტროდან ფულის მიღებას ერთი წელიწადი დააგვიანდებაო“. ამ სიტყვების გაგონება ლახვარივით მოგვხვდა გულში დაიმედებულ სტუდენტობას. აღარ ვიცით, რა გზას დავადგეთ. ამას ის უბედურებაც უნდა დაუმატოთ, რომ წელს ხარკოვში ცხოვრება შარშანდელთან შედარებით აუტანელია: უბრალო ოთახი შარშან თუ 15—16 მანეთი იყო, წელს 20—25 მანეთია. აგრეთვე სასმელ-საჭმელიც. ერთი სიტყვით ყველაფერი ძალზე გაძვირებულია. ბევრი სასოწარკვეთილებაში ჩავარდა. უკანასკნელად ვთხოვთ ქუთაისის გუბერნიის წინამძღოლს და აგრეთვე, ვისაც ჯერ არს, შემდეგს: ან იმ თანხიდან, რომელიც შენობისთვის არის გადადებული, გვასესხონ ფული და ან სამინისტროში აღძრან შუამდგომლობა, რომ სტიპენდიებისათვის გადადებული ფული მოგვაშველონ. დარწმუნებული ვართ, არავისთვის უცხო არ არის ზოგიერთ სტუდენტების აუტანელი ცხოვრება, მით უფრო დღევანდელ პირობებში და დღევანდელ ცხოვრების მიხედვით. ამისთვის იმედი გვაქვს ამ საქმეს, ვისიც ჯერარს, გულ-გრილათ არ მოეკიდებიან და შეძლების დაგვარად დახმარებას გაგვიწევენ.

ამხანაგების მინდობილობით სტუდენტი **ვალერიან გაგოიშვილი.**

—

**(ლუარსაბ ლოლუას მემკვიდრეს)**

ს. ხორშის საზოგადოებამ, ცალკე დაზარალებულმა მოუსავლობით და მიძრაობით და ცალკე შეწუხებულმა გადასახადებით, ვერ შეძლო სკოლის შენობის აგება, ნაცვლად ძველისა, რომელიც ჩამოლპა და ინგრევა და სადაც 200-მდე ბავშვი სწავლობს. ამისთვის საზოგადოებამ დამავალა გთხოვოთ, თუ ისურვებთ და მოსახერხებლად სცნობთ, დაუთმოთ საზოგადოებას ლუარსაბის დიდი სახლი იმ პირობით, რომ სკოლას ლუარსაბის სახელი დაერქვას.

საზოგადოების მინდობილებით **დიმ. გვახალია.**

—

**(სარდაფების და ტრაქტირების მოსამსახურეთა საპასუხოდ)**

წვრილ ვაჭართა პროფესიონალურ საზოგადოების მთავარი კომიტეტი გართულია სარაიონო კომიტეტების წევრთა არჩევნებში, ამიტომ ვერ შეასრულებს მოსამსახურეთა თხოვნას, ვიდრე სარაიონო კრებები არ მორჩება და არ მოხდება შეერთებული კრება, რომელიც განიხილავს მოსამსახურეთა მოთხოვნებს.

**მთავარ კომიტეტის თავმჯდომარე.**

—

ჩვენ, კორბოულის სოფლის საზოგადოება (შორაპნის მაზრაში), რომელიც შესდგება დაახლოვებით ათას-ორას კომლისაგან, თერმეტ ამ ღვინობისთვეს ვიყავით მიწოდებული საზოგადო ყრილობაზე საჩხერის ნაწილის ბოქაულის მიერ. შევიკრიბენით ცხრაას კაცამდე და ბოქაულმა სხვა საქმეებთან ერთად გამოგვიცხადა, რომ გაზეთ „ისარის“ 214 №-ში წავიკითხე მოთავსებული კორესპონდენცია სოფელს კორბოულიდან, რამიაც, სხვათა შორის, მოხსენებულია თქვენის საზოგადოების სოფლის მწერლის ცუდი მიმართულებანიო. ამასთან მოგვცა წინადადება, რათა ჩვენ გულახდილად გვეთქვა მწერლის ცუდი და საზოგადოებისადმი საზარალო მოქმედება და ახლავე დავითხოვ სამსახურიდახაო, რაზედაც ჩვენ, საზოგადოებამ, მისდა მიხედვით, რომ ჩვენი მწერალი თვის სამსახურს ასრულებს გულწრფელად ფრიად სინიდისიერად საზოგადოების სასარგებლოდ, ერთხმად ვუპასუხეთ ბოქაულს შემდეგი ამ საქმის სინამდვილე: ჩვენი სოფლის საზოგადოების მწერალი დომენტი მაჭარაშვილი მსახურებს ჩვენს საზოგადოებაში უკანასკნელის ოც და ცხრა წლის განმავლობაში; ამ ხნის განმავლობაში არ შეგვინიშნავს არავითარი ცუდი საქციელი და საზოგადოებისა საზარალო მოქმედება; პირიქით, იგი ყოველთვის პირნათლად და სინიდისიერად ასრულებდა საქმეს.

მთელის საზოგადოების ყრილობის მინდობილობით **გლახუა მაჭარაშვილი, ალექსი ნოგაძე. გიდევან ცარციძე.**

## დეპეშა

(პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოსაგან)

### რუსეთში.

14 ოქტომბერი

**ტამბოვი.** 14 ღვინ. ღამე პოლიციამ ასი კაზაკით გაჩხრიკა საპყრობილის მახლობლად სახლები. ერთ შენობაში, რომელიც ამას წინად საეჭვოდ ძვირად იყიდეს, აღმოჩნდა ხვრელი სიგრძით 20 საჟენი. ხვრელი საპყრობილის კედლამდე იყო მისული. იპოვეს ელექტრონის ბატარეია, მიწის სათხრელი იარაღი, სანოვაგე, საპყრობილეს გეგმა, რევოლვერი და ძოწამლული პატრონები. ხვრელში დააპატიმრეს ექვსი კაცი, ბინაზე კოჩეტკოვი და ერთი მისი ამხანაგი. ყველანი სოც.-რევ. არიან.

**ომსკი.** ქალაქიდან 40 ვერსის სიშორეზე 13 კაცი დაეცა ფოსტას. სროლის დროს დაიჭრა ფოსტალიონი და ორი ცხენი. ფოსტა უვნებლად გადარჩა.

**კურსკი.** 14 ღვინ. ღამე თავს დაესხნენ კურიერის მატარებელს. ორთქლმავალის ქვეშ აფეთქდა ყუმბარა. გზა დაზიანებულია. მატარებელი უვნებლად მივიდა კურსკში. შეიპყრეს სამი კაცი.

**პეტერბურგი.** სამი შეიარაღებული კაცი თავს დაეცა ლესნერის მეარტელეს, წაართვა 4120 მან. და მიიმალნენ.

4 საათზე საპყრობილეთა მთავარ სამმართველოს უფროსთან შევიდა ერთი დედაკაცი, მვიდჯერ ესროლა რევოლვერი და მოჰკლა. დედაკაცი დააპატიმრეს. მისი ვინაობა ჯერ ვერ გაუგიათ.

წმ. ნიკოლოზის საავადმყოფოს შეშლილთა განყოფილებაში ტუსაღები თავს დაესხნენ მოსამსახურეებს და მძიმედ დასჭრეს ორი. ტუსაღები გამოსაცდელად იყვნენ ამ საავადმყოფოში. მიზეზი თავდასხმისა ის არის, რომ მოსამსახურეებმა მათი წერილები ჩაიგდეს ხელში და გაუგეს, რომ მათ გაპარვა უნდოდათ.

### უცხოეთში.

14 ოქტომბერი.

**ლონდონი.** ტოკიოდან იუწყებიან, რომ 6 ივლისიდან 2 ოქტომბრამდე კორეაში დაუჭრიათ და მოუკლავთ 236 იაპონელი პოლიციელი და 44 კერძო პირი.

**ბუდაპეშტი.** სლოვაკელ მღვდლის ივლინკის აგიტაციის ზედგავლენით ჩერნოველმა გლეხებმა სხვა მღვდელს არ აკურთხებინეს ახალი ეკლესია და ჟანდარმები ქვებით გარეკეს. ჟანდარმებმა სროლა ასტეხეს, მოჰკლეს 11 და დასჭრეს 12 გლეხი. სოფელში გაგზავნეს ორი როტა სალდათი.

**პარიზი.** მოვიდნენ ესპანიის მეფე და დედოფალი.

**ლონდონი.** სადღაც გადაიკარგა ესტლიანდიის ნაგუბერნატორალის ლოპუხინის 18 წლის ქალიშვილი, რომელიც თეატრიდან გამოსვლის დროს დაეკარგა მის გუვერნანტკას. მისგან მიიღეს ბარათი. იწერება, დაჭერილი ვარ, სარდაფში ვარ დამწყვდეული და ძალიან ვიტანჯებიო. მთელი პოლიცია ფეხზე დადგა.

**ნეაპოლი.** საშინელი სვიმა მოვიდა. ატყდა გრიგალი. წყალმა წალეკა მრავალი სახლი, დაგლიჯა ხეები და გააფუჭა გზები.

**ვენეცია.** ვენეციის ოლქში ყველგან მდინარეები ნაპირებიდან გადმოვიდნენ. ქალაქები სკიო, მაროსტიკა, ტიონე და მიდამოები წყლის ქვეშ დაიმალნენ, მისვლა-მოსვლა შესწყდა.

**სალონიკი.** უსკიუბის ოლქში აღმოაჩინეს 8 ბოლგარელის გვამი. კონსულებმა გასინჯეს გვამები. ყველანი შეკრულები იყვნენ. ტანი დაკუწული, ხიშტებით დაჩხვლეტილი და ტყვიებით დახვრეტილი ჰქონდათ. ეჭვი მიიტანეს სერბებზე.

რედაქტორ-გამომცემელი **ე. ბვალიშვილი.**

## გამოსადეგი ცნობანი

### მატარებლების მიმოსვლა

(18 აპრილიდან 15 ოქტომბრამდე)

(ფრჩხილებს გარეშე ნაჩვენებია პეტერბურგის საათი, ფრჩხილებში—ტფილისისა)

ტფილისიდან მიდის

**ბაქოს**: 1) სწრაფი (როსტოვისა), დილის 6 საათზე (6 ს. და 58 წ.); 2) საფოსტო, საღამოს 7 ს. 36 წ. (8 ს. 34 წ.); 3) სამავგზრო, დილის 8 ს. 5 წ. (9 ს. 3 წ.)

**ბათუმს**: 1) სწრაფი, ღამის 11 საათზე (11 ს. 58 წ.); 2) საფოსტო, შუადღის 12 ს. 23 წ. (1 ს. 21 წ.); 3) სამგზავრო, ღამის 12 ს. 5 წ. (1 ს. 3წ.).

**ბორჯომს**: 1) ნაშუადღევის 2 ს. 10 წ. (3 ს. 8 წ.); 2) დილის 8 ს. 50 წ. (9 ს. 48 წ.).

**ერევანსა და ყარსს:** 1) საფოსტო, ღამის 12 ს. 10წ.; (1 ს. 8 წ.); 2) სამგზავრო, შუადღის 12 ს. 45 წ. (1 ს. 43 წ.).

ტფილისში მოდის.

**ბაქოდან**: 1) სწრაფი (როსტოვისა), ღამის 10 ს. 35 წ.; (11 ს. 33 წ.); 2) საფოსტო, შუადღის 11 ს. 33 წ. (12 ს. 31 წ.); 3) სამგზავრო, ღამის 11 ს. 35 წ. (12 ს. 33 წ.).

**ბათუმიდან**: 1) სწრაფი, დილის 5 ს. 40 წ. (6 ს. 38 წ.); 2 საფოსტო, საღამოს 6 ს. 45 წ, (7 ს. 43 წ.) 3); სამგზავრო, დილის 7 ს. 25 წ. (8 ს. 23 წ.).

**ბორჯომიდან**: 1) დილის 5 ს. 10 წ. (6 ს. 8 წ.); 2). საღამოს 9 ს. 2 წ. (10 ს.)

**ერევან-ყარსიდან**: 1) საფოსტო, დილის 5 ს. (5 ს. 58 წ.); 2) სამგზავრო, ნაშუადღევის 4 ს. 15 წ. (5 ს. 13 წ.).


## განცხადებანი

გამოვიდა და დარიგდა გასასყიდად შილლერის თხზულება

ფერხული

ათი დიალოგი, ავტორის სურათით, თარგმანი ია ეკალაძე-ცინცაძისა.

წიგნი იყიდება: ტფილისში წერა-კითხვის მაღაზიაში (და ზოგიერთა სხვა მაღაზიაშიაც); ბაქოში—რევაზ ფავლენიშვილთან; გორში—არჩუაძესთან; ჭიათურაში—დეკანოზიშვილთან; ქუთაისში—წიგნის მაღაზია „იმერეთ“-ში.

ვთხოვთ ფოთისა და ბათუმის წიგნის მაღაზიებს, მიჰმართონ „იმერეთი“-ს მაღაზიაში კვიცარიძეს. სხვა ადგილებიდან უნდა მიჰმართონ წერა-კითხვის საზოგადოების მაღაზიას ან კიროჩნი ქუჩაზედ (№ 11) ს. ბერძნიშვილს ვინც ას ცალს ნაღდად იყიდის, 30% დაეთმობა; კამისიით 20%. თითო წიგნი ღირს 30 კაპეიკად. (0—6.—3)

მასწავლებელთა

საყურადღებოთ!

ქართული წერის დედანი

ალ. მირიანაშვილის შედგენილი 40 კაპ. ამ დედანთან სახმარებელი

რვეულები 1 და 2 № 3 კაპ.

„არითმეტიკული კრებული“

ხრამელაშვილის შედგენილი 1 ნაწ. 30 კ. „მეორე ნაწ. კრებულისა“ (მისივე) 40 კ.

აქვე იყიდება ყოველ გვარი ქართული წიგნები და სკოლებში სახმარებელი ქართულ-რუსული სახელმძღვანელოები. მსურველს ფას დადებითაც გაეგზავნება. მისამართი: Тифлисъ, книжный магазинъ „ЦОДНА“.

მაღაზიის პატრონი, სოსიკო მერკვილაძე. (20—10)

„წერა-კითხვის საზოგადოების“ მაღაზიაში იყიდება შემდეგი ახალი წიგნები:

1. «ამბოხება გაზეთისა», 1812 წ. ისტორიული ამბავი ა. ფრონელისა . . 1 მ.
2. «საქართველოს მეფე და მისი უფლების ისტორია», ი. ჯავახიშვილისა . 15 კ.
3. «ქართლის ცხოვრება», მარიამ დედოფლის ვარიანტი . . . . . . . 3 მ.
4. «საბერძნეთის ძველი ისტორია». ნორმანისა, თარგ. გლ. ლორთქიფანიძისა 1 მ.
5. «რომაელების ძველი ისტორია», თარგმანი ვ. ლორთქიფანიძისა . . . 1 მ.
6. «ფიზიკური გეოგრაფია», ს. იაშვილისა . . . . . . . . . . . . 20 კ.
7. «მასალების საქართველოს ისტორიისათვის», . . . . . . . . . 1 მ.
8. «საქართველოს ისტორია», მ. ჯანაშვილისა . . . . . . . . . . 1 მ.
9. «მთიულეთი», (ამბოხება 1814 წ.), ა. ფრონელისა. . . . . . . 40 კ.
10. «ცისარტყელა», სამხატვრო-სალიტერატურო კრებული (მრავალის სურათით). . . . . . . . 15 კ.
11. «Очерки грузинской словесности», IV, ა. ხახანაშვილისა . . . 3 მ. 50 კ.
12. Судьбы грузинской церкви», გაზეთ «რუსკი სტიავის» გამოცემა . . . 25 კ.
13. «Государственный строй древней Грузіи и древней Арменій», ი. ჯავახიშვილისა . . . 1 მ. 35 კ.


სტამბა „იდეალი“ (მ. დ. კიკნაძისა) ნიკოლოზის ქ. № 6.